# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 აპრილი 2003 №63 (1834) | ფასი 50 თეთრი

# ბარსას წაგება დაავიწყდა

## შანსია: ელ კლასიკო და მილანური დერბი ლიგაში!



იუვენტუსი — ბარსელონა 1:1. ხავიერ სავიოლამ „იუვენტუსს" „ბარსელონას" დამარცხება არ დაანება



ინტერი — ვალენსია 1:0. პერსონალური ჯახი: კარლოს მარჩენა და კრისტიან ვიერი



# ფაჩულიამ ბრაიკოვიჩს 36 წუთში 26 ქულა შემოუთვალა

ევროლიგის გუშინდელ, „პანათინაიკოსთან" მატჩში თურქი „მეკანფეტეების" ქართველმა ცენტრმა ყველაზე ტკბილი მატჩი ითამაშა. საინტერესო ცნობა საქართველოს ნაკრების ახალდანიშნული ხორვატი მწვრთნელისთვის დრაჟენ ბრაიკოვიჩისთვის

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**ინტერი 1:0 ვალენსია**

1:0 ვიერი (14)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო (პასკუალე 31), ხ. კონსეისაუ, კ. ძანეტი, დი ბიაჯო, ემრე (ოკანი 66), ვიერი, კრესპო (კანავარო 84)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, მარჩენა, კარბონი, რუფეტე (მისტა 81), ალბელდა, ბარახა, აიმარი, ვისენტე (ფ. აურელიო 85), კარეუ (ანგულო 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: რუფეტე, კ. ძანეტი, პასკუალე, აიმარი
გაძევება: ემრე (57), ალბელდა (57)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
52 623 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 ბარსელონა**

1:0 მონტერო (16), 1:1 საციოლა (78)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა (ზალაიეტა 67), კამორანეზი, ტაკინარდი, ტუდორი (ბირინდელი 60), დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 81)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ბარსელონა: ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი (ლუის ენრიკე 82), ხავი (ხერარდი 74), მოტა, რიკელმე (მენდიეტა 63), კლუივერტი, საციოლა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: კლუივერტი, გაბრი, ბირინდელი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
48 763 მაყურებელი

*ამ უქმეებზე სერია A-ში მილანური დერბია, 20 აპრილს ესპანურ პრიმერადივიზიონში გაიმართება სუპერკლასიკო, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში საქმეს ისეთი პირი უჩანს, ერთ ნახევარფინალში ისევ „ინტერი“ და „მილანი“ შეხვდებიან, მეორეში — „რეალი“ და „ბარსელონა“. სადღეისოდ, ფავორიტებად სწორედ ეს გუნდები ითვლებიან, თუმცა „რეალის“ გარდა, პირველი მეოთხედფინალური მატჩების მერე, თვალშისაცემი უპირატესობა არც ერთს მოუპოვებია.*

*ტურინის „დელე ალპიზე“ „ბარსელონა“ სულაც ახლოს იყო დამარცხებასთან, რაც ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელი 23 აპრილის მერე აღარ უგემია. „იუვენტუსმა“ უკეთესად ითამაშაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ადრიანი გოლი კი გაიტანა და ისე ჩანდა, „ბარსა“ გამთანაბრებელი არ იყო. პირველ ტაიმში სტუმრებმა სულ ორჯერ დაარტყეს „ბებერი ქალბატონის“ კარში, ოღონდ არც ისე, ჯანლუიჯი ბუფონს ჯაფა დასდგომოდა. ისე, პაოლო მონტეროს გოლის მერე არც იტალიელებს გაუკეთებიათ რამე დასამახსოვრებელი.*

*მეორე ტაიმშიც პირველის მსგავსი თამაში წავიდა, ბურთი მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა. მაგრამ „ბარსელონამ“ მაინც მოახერხა და გაათანაბრა: ხავიერ საციოლამ მიხაელ რაიციგერის ხეირიანი პასი შეირგო და ბუფონს მონტეროს ფეხიდან ასხლეტით გაუტანა. ამის გარდა ერთი ფრიად ხელსაყრელი მომენტი პატრიკ კლუივერტსაც ჰქონდა, მეტი მონდომება და სიზუსტე რომ გამოეჩინა, შეეძლო ეხეირა. საბოლოოდ კი მივიღეთ, რომ „ბარსელონამ“ მიჯრით მე-16 თამაში ჩაატარა ლიგაში წაუგებლად და ამათგან მხოლოდ მესამე დაასრულა ფრედ.*

*ტურინიდან არც ისე შორს, ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით, მილანში, „ინტერმა“ ერთი გოლი იკმარა „ვალენსიასთან“ შეხვედრაში და კაცმა რომ თქვას, ბევრი მომენტი არც ჰქონია. კოკო-ემრე-კრესპოს კომბინაცია კრისტიან ვიერიმ დაასრულა. ვალენსიელები ნაკლებად იღბლიანები გამოდგნენ, რაკი სამიოდე კარგი მომენტი ფრანჩესკო ტოლდოს სიყოჩაღის გამო წაუხდათ.*

*ყველაზე თვალსასეირო ამბავი კი ამ მატჩში ჩხუბი იყო. დავიდ ალბელდამ ემრეს ჩასცხო და თურქმაც ხურდა დაუბრუნა. გაწევ-გამოწევაში სხვა ფეხბურთელებიც ჩაებნენ: საბოლოოდ, გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა ალბელდასა და ემრეს წითელი ბარათი აუფრიალა. გვირაბისკენ მიმავალ ესპანელს იტალიელმა ქომაგებმა ქოქოლა და ბოთლები დააყარეს.*

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

დორტმუნდი (მ) 2:1 დინამო

### პოლონეთი

**XX ტური**

პოლონია 2:1 გარბარნია
ოდრა 3:0 ზაგლებე
ოსტროვეცი 1:3 გროცლინი
პლოცკი 0:0 ლეხი
ამიცა 1:0 ვიძევი
ვისლა 2:1 ლეგია
გურნიკი 9:0 პოგონი

### დანია

**თასის 1/4 ფინალი**

ვიბორგი 5:2 ფარუმი
მიდტიულანდი 3:1 ესბიერგი
ბრონდბიუ 1:0 კოპენჰაგენი
ნესტვედი 1:4 ოლბორგი

### შოტლანდია

**თასის 1/4 ფინალი**
**გადათამაშება**

დანდი 4:1დ.დ. (1:1) ფოლკირკი
რეინჯერსი 3:0 დანფერმლაინი

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სტოკი 2:0 როტერჰემი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

შრიუსბერი 1:2 რექსემი

### საბერძნეთი

**თასის 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩი**

ეგალეო 1:1 არისი

### ჩეხეთი

**თასის 1/8 ფინალი**

იაბლონეცი 2:1 ბრნო
ვიტკოვიცე 0:2 ბანიკი
სპარტა 0:4 ბუდეიოვიცე
პრახატიცე 0:3 პრშიბრამი
ოლომოუცი 0:2 სლავია
ლიბერეცი 0:2 ზლინი

### თურქეთი

**თასის 1/2 ფინალი**

რიზე 1:2დ.დ. (1:1) *გენჩლერი*
მალათია 0:3 *ტრაბზონი*

### ავსტრია

**თასის 1/4 ფინალი**

*მატერსბურგი* 1:0 გრაცერი



## ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 9 აპრილი**

**D ჯგუფი**

ცსკა 66:54 ეფესი
უნიკახა 95:87 ციბონა

**E ჯგუფი**

ულქერი 92:73 პანათინაიკოსი
სიენა 64:68 სკიპერი

# იუვენტუსი — ბარსელონა




ალესანდრო დელ პიერომ ფრანკ დე ბური ბურთისკენ არ გაუშვა

# ინტერი — ვალენსია



თავისი წილი წითელი ბარათი ემრესაც ერგო




ვალენსიელთა მეკარე სანტიაგო კანისარესი, ცხადია, უკმაყოფილო იყო




ფრანჩესკო კოკო ისე დაშავდა, შესაცვლელი შეიქნა

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# რას გვასწავლიდა სტალინი?



ფაბიენ ბარტეზი ლუიშ ფიგუს ამ დარტყმულის ამღები არ იყო






წამიც და რაული „მანჩესტერს" მეორე გოლს გაუტანს

**რეალი 3:1 მანჩესტერი**

**1:0 ფიგუ (12), 2:0, 3:0 რაული (28, 49), 3:1 ვან ნისტელროი (52)**

**რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი, რაული, რონალდო (გუტი 84)**

**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**

**მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი (სოლსკიაერი 86), ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (ო'შეი 58), ბექჰემი, ბატი, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი**

**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**

**გაფრთხილება: ნევილი, ვან ნისტელროი, სქოულზი, კინი**

**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

**80 000 მაყურებელი**

***საპასუხო მატჩი გაიმართება 23 აპრილს***

„იმედი მაქვს, რომ მას მოგზაურობა არ უყვარს. რამენაირად ბრიტანეთში შემოსვლა უნდა ავუკრძალოთ. „რეალმა" იყიდა უდიდესი ფეხბურთელები, ზიდანი, ფიგუ, რონალდო, მაგრამ მსოფლიოში საუკეთესო რაულია. ნახევარდაცვაში ადგილს ისე არჩევდა, ძნელად თუ გააწყობდი რამეს. ზიდანზე ყველაფერი ვიცოდით და მისგან ყველაფერს ველოდით, მაგრამ რაული მეტისმეტი გამოდგა" — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

მეორე მხრივ, ინგლისელთა თავკაცი თავისი დაცვის თამაშით გახლდათ ფრიად უკმაყოფილო.

„ძნელია შეეწინააღმდეგო ბურთის ასეთ კონტროლს, ფიგუ და ზიდანი იმ სივრცეებს ხსნიდნენ, რომელშიც რაული შერბოდა, მაგრამ ამის მიუხედავად ვფიქრობ, რომ ორი გოლი იოლად დავუთმეთ".

„რეალის" თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე: „ვგონებ, კარგ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ ნახევარფინალისტის ვინაობა ჯერ ფრიად უცნობია. შეუძლებელია იმის დავიწყება, თუ როგორ გვეთამაშა „იუნაიტედი" „ოლდ ტრეფორდზე" ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს — 3:0-ს ვიგებდით, მათ კი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ორი გოლი გაგვიტანეს. დღეს პირველი ტაიმი საუცხოოდ ჩავატარეთ. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ შესვენების შემდეგ ძალიან ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ბურთის კონტროლის სწორი გზა ამოვიცანით. ნათლად გამოჩნდა, რომ მოედანზე ორი შემტევი გუნდი იდგა ერთმანეთის პირისპირ".

შემდეგ დელ ბოსკემ განაცხადა, რომ „რეალს" მართლაც შეეძლო უფრო გარანტირებული ანგარიშით გამარჯვება, მაგრამ მიღწეულით მაინც კმაყოფილია:

„დიახ, უფრო იოლად გამარჯვების შესაძლებლობაც გვქონდა, თუმცა „იუნაიტედი" ძალიან სახიფათო გუნდია, მან თავისი მომენტები შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მართლაც ვიმსახურებდით მეტს".

რაც შეეხება რაულს, დელ ბოსკემ მისი საგანგებოდ გამოყოფისა და ცაში აყვანისგან თავი შეიკავა:

„დღევანდელ ჩინებულ შეხვედრაში მონაწილე დიდ ფეხბურთელთაგან რაული ერთ-ერთი გახლდათ. მატჩი მართლაც ამაღელვებელი, ბევრგოლიანი გამოდგა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა, ვიმეორებ, ჯერ უცნობია".

ალბათ, შეატყვეთ, რომ თამაშის დეტალურ აღწერას ვერიდებით. ჯერ ერთი, ეჭვი არაა, იგი დიდმა აუდიტორიამ ნახა და მეორეც, ემოციური გამოძახილი, მის მონაწილეთა შეხედულებანი, ვფიქრობთ, უფრო საინტერესო უნდა იყოს. ამიტომ, ახლა ისევ ალექს ფერგიუსონს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, რას ფიქრობს სამომავლოდ:

„სტუმრად გატანილი გოლი ძალიან მნიშვნელოვანია და გვაიმედებს. ვფიქრობ, „რეალს" სტუმრად თამაშიც ეხერხება. მაგრამ „ოლდ ტრეფორდზე" ჩვენ გაცილებით ძლიერები ვიქნებით, ვიდრე დღეს ვიყავით. ცხადია, ისიც რთული თამაში იქნება, ოღონდ თუ შეხვედრის დასაწყისშივე გავიტანეთ, შემდეგ ყველაფერი საინტერესოდ წარიმართება. „ოლდ ტრეფორდზე" ყოველთვის დიადი ატმოსფეროა და ჩვენც დიდი გამოწვევის წინაშე ვდგევართ, არ გვეყოლება გარი ნევილი, მას ჯონ ო'შიით შევცვლით, აი, პოლ სქოულზი კი უდიდესი დანაკლისია. იმედი მაქვს, იმ თამაშისთვის ხუან სებასტიან ვერონი გამოჯანმრთელდება".

„სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული შეხვედრა კი მართლა სანახაობრივი გამოდგა. არ ვიცი, დაგვეთანხმებით თუ არა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი" აგრესიული არ გვეჩვენა, „რეალმა" კი მთავარი კოზირი, დიად ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა, ფრიად გამოიყენა. როგორც ხალხების დიდი მამა და ბელადი, იოსებ სტალინი იტყოდა, „კადრები წყვეტენ ყველაფერს". ამის დასტური გახლდათ პირველი გოლი, რომელიც ლუიშ ფიგუმ საოცარი სიზუსტით და ოსტატობით შეაგდო (ოღონდ საქართველოს სტადიონებზე იგი ვერაფრით გავიდოდა, რადგან ზიდანის ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ხავერდოვანი პასი ფიგუმდე უბრალოდ სხვანაირად მიაღწევდა), ამის დასტური გახლდათ რაულისა და ზიდანის ბურთის ფლობა. იმავე ფიგუს მანევრები და სხვა მრავალი. ისეთი შესრულება, როგორიც იმ დღეს „რეალმა" გვაჩვენა, ბუნებრივია, ნებისმიერ მეტოქეს აურევდა გეგმას.

თავის მხრივ, მეორე ტაიმში, ყოველ შემთხვევაში, მის ღირ მონაკვეთში, თამაშს გემო „იუნაიტედმაც" გაუგო. ეს ის მონაკვეთია, რომელიც რუუდ ვან ნისტელროის გოლით დაიწყო და მასპინძელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტით გაგრძელდა, მაგრამ... საოცარ გაგრძელებას ორი კვირის შემდეგ უნდა ველოდოთ. „ოლდ ტრეფორდისგან" კიდევ უფრო დიდ „მანჩესტერს" და „რეალს" ველით.

**პაპუნა ძიძიგური**

# ორთავეს პატყობთ კმაყოფილებას

## რა უნდა სან სიროზე გოლის გატანას? არაფერი!

**აიაქსი 0:0 მილანი**

**აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი (დე იონგი 74), კიუუ, ობრაიენი, პიენაარი, გალაშეკი (სნეიდერი 67), იაკუბუ, მაქსველი, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 73), ვან დერ ვაარტი**

**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**

**მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, რუი კოშტა, გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი (სერჯინიო 26), შევჩენკო (რივალდო 79), ინძაგი (ტომასონი 73)**

**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**

**გაფრთხილება: გატუზო, ამბროზინი**

**მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)**

**52 000 მაყურებელი**

***საპასუხო მატჩი გაიმართება 23 აპრილს***

„ამსტერდამ არენაზე" ფრედ დასრულებულმა მატჩმა ნახევარფინალში გასვლის ფავორიტად „მილანი" დატოვა. თამაში საგოლე მომენტებით მწირი იყო, მაგრამ ის იშვიათი მომენტები, რომლებიც მაინც შეიქმნა, სახიფათო გახლდათ. საპასუხო შეხვედრა „სან სიროზე" 23 აპრილს გაიმართება, გამარჯვებული კი„ ინტერი" — „ვალენსიას" წყვილში უმჯობესს შეხვდება, ანუ ეგებ მილანური დერბიც შედგეს.

სამშაბათის თამაშს მივუბრუნდეთ. „აიაქსს" დისკვალიფიცირებული ჰყავდა ჰავბეკი ანდი ვან დერ მეიდე, რომელიც რონალდ კუმანმა ახალგაზრდა აბუბაქარ იაკუბუთი შეცვალა, ხოლო კარლო ანჩელოტიმ ორიენტაცია შეტევაზე აიღო, ფილიპო ინძაგიმ გრიპი დროულად მოიჩინა, ხოლო დაშავებული ანდრეა პირლო მანუელ რუი კოშტამ შეცვალა.

იტალიელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მეხუთე წუთზე ანდრეი შევჩენკოს უნაღდესი მომენტი ჰქონდა, რომელიც მეკარე ლობონტმა დიდი ოსტატობით მოიგერია.

თუმცა ამსტერდამელი ქომაგების მხარდაჭერით გათამამებულმა „აიაქსმა" ნერვები დაიმშვიდა და თამაში გაათანაბრა. კუმანის ახალგაზრდულმა გუნდმა პირველი ტაიმის შუაგულისკენ უპირატესობაც ხელში ჩაიგდო, რაც უპირველესად მარჯვენა ფლანგზე აისახა, რომელსაც ჰატემ ტრაბელსი და სტივენ პიენაარი აკონტროლებდნენ. ტრაბელსი მცველია, მაგრამ მალიმალ ერთვებოდა იერიშებში და გვარიან თავსატეხს უჩენდა მილანელ მცველებს.

მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმის მიყვანა მასპინძლებს მაინც უჭირდათ. სტუმართა მცველებს საჯარიმოს მისადგომები საიმედოდ ჩაეკეტათ და შემტევებიც იძულებულნი იყვნენ, შორეული დარტყმებით ეცადათ ბედი, რაც წინა კვირაში პასპორტის გაყალბებაში მხილებულ ბრაზილიელ მეკარე დიდას ვერაფერს აკლებდა. იგივე ხდებოდა „აიაქსის" საჯარიმოსთანაც და ლობონტიც მშვიდად ხვდებოდა მილანელი ფორვარდების შორეულ დარტყმებს.

პირველმა ტაიმმა მეტწილად მოედნის ცენტრში ბრძოლაში ჩაიარა, მეორეს დასაწყისი კი პირველი ტაიმის დასაწყისის მსგავსი გამოდგა — შევჩენკო აიაქსელთა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ დარტყმა აღარ დასცალდა, პასანენი დროულად და სუფთად ჩაუვარდა ფეხებში.

პასუხმა არ დააყოვნა. ზლატან იბრაჰიმოვიჩი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და განივი პასი მისცა პიენაარს, რომელმაც ბურთი მყისვე უკან დაუბრუნა, მაგრამ რად გინდა — ბოსნიური წარმოშობის შვედმა უალრესად ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა.

ამ ეპიზოდიდან სამ წუთში „აიაქსს" კიდევ ერთი, ამ შეხვედრაში ბოლო ნაღდი შანსი მიეცა, იმავ იბრაჰიმოვიჩმა გრძელი ჩაწოდებით ბურთი პიენაარს ჩააბარა, ამან ცუდად დაარტყა, თუმცა კარის სიახლოვეს ჩასაფრებულ რაფაელ ვან დერ ვაარტს ფეხი უკეთესად რომ დაეხვედრებინა, გოლიც გავიდოდა.

„მილანმა" კი ბოლო კარგი მომენტი მატჩის დასრულებამდე 18 წუთით ადრე შექმნა. მასიმო ამბროზინის მზაკვრული დარტყმა ლობონტმა მოიგერია და მეტოქეებიც ფრეზე გაიყარნენ. მსაჯის საფინალო სასტვენისას ფეხბურთელები ძლივსლა დალასლასებდნენ.

ნამატჩევს კარლო ანჩელოტიმ კმაყოფილებით აღნიშნა, 0:0 ჩვენთვის სასურველი შედეგიაო: „დაცვაში უშეცდომოდ ვითამაშეთ, რის გამოც მეტოქემ ორიოდე კარგი მომენტი თუ შექმნა, მაგრამ მეორე მხრივ, აგრესიულობა გვაკლდა, რამაც „აიაქსს" მოედნის ცენტრში უპირატესობის მიღწევის საშუალება მისცა. გადაწყვეტილი, ცხადია, არაფერია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საპასუხო შეხვედრაში ბევრად უკეთესად ვითამაშებთ და სასურველ შედეგსაც მივაღწევთ".

უკმაყოფილება არც რონალდ კუმანს ემჩნეოდა: „ბევრი საგოლე მომენტი არ შეგვიქმნია და ამიტომაც ვერ გავიტანეთ, თუმცა ჩემი ფეხბურთელების თამაში მომეწონა და იმედიანად ვარ. ბოლოს და ბოლოს, „აიაქსი" ის გუნდი არ არის, თუნდაც მეტოქის მოედანზე ერთი გოლის გატანა ვერ მოახერხოს."

**ირაკლი ნინიძე**



REUTERS

პაოლო მალდინი აიაქსელებს საჯარიმოში არ აჭაჭანებდა

# უეფას თასი 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

## პორტუ – ლაციო

პორტუ. „დაშ ანტაში“

### სავარაუდო შემადგენლობები

| პორტუ | ლაციო |
|---|---|
| ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, დეკო სოუზა, მ. რიბეირუ, ნუნუ კაპუშუ, პოსტიგა, დერლეი სილვა | პერუცი, პანკარო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე, ლივერანი, სიმეონე, ხეზარი, კ. ლოპესი, ს. ინძაგი |

# მაურინიუ ოფლის წვეთებს დაითვლის

## კოუტუ ძმაბიჭებს შეუვლის



იაპ სტამი პორტუს მაგიერ ექიმებთან წავიდა

„პორტუ“ უეფას თასის ფინალში არასოდეს გასულა, სამაგიეროდ, ჩემპიონთა თასის მფლობელია. გუნდს კიდევ ცხრა ქულა სჭირდება, პორტუგალიის ჩემპიონობა რომ გაინაღდოს. ამ სეზონში „პორტუ“ ბრწყინვალედ თამაშობს. უეფას თასზე ორჯერ („პოლონიასთან“ და „დენიზლისფორთან“) ექვს-ექვსი გოლიც გაუტანია. ნახევარფინალამდე ხუთი საშინაო შეხვედრიდან ოთხი მოიგო და მხოლოდ ერთხელ, „პანათინაიკოსთან“ დამარცხდა.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ თქვა: „ლაციოს“ მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს. მათ შორის, ვინც აქამდე შეგვხვედრია, რომაული კლუბი უძლიერესია, მაგრამ მეტოქეს სულაც არ ვუფრთხით. მეც ამბიციური გუნდი მყავს და ფინალში გასასვლელად ოფლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ.“

დღეს პორტუს „დაშ ანტაშის“ სტადიონზე ერთმანეთს ძველი ნაცნობები შეხვდებიან. 1977-78 წლების სეზონში, უეფას თასის პირველ ეტაპზე, „პორტუ“ და „ლაციო“ ერთმანეთს გადაეყარნენ. „პორტუმ“ შინ 1:0 მოიგო, მაგრამ რომში იტალიელებმა გაანადგურეს — 5:0.

ათი წლის წინ ისინი კვლავ შეჰყარა წილისყრამ. პორტუგალიელებმა პირველ მატჩში 2:0 სძლიეს მეტოქეს, საპასუხოში კი „ლაციომ“ 1:0 მოიგო. ანგარიშებს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ურთიერთშეხვედრებში გოლები ან ერთ გუნდს გააქვს, ან მეორეს.

ფერნანდო კოუტუ თავის ძველ მეგობრებს ნახავს. მას „პორტუს“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონობა სამჯერ უზეიმია. „წლეულს პორტუელები შესანიშნავად გამოიყურებიან — თქვა კოუტუმ — და ჩემპიონობამდე ცოტაღა უკლიათ. იქ ბევრი მეგობარი მყავს. „პორტუს“ ყველა მატჩი ვნახე და გეტყვით, რომ ძალიან ძლიერი გუნდია. დარწმუნებული ვარ, გვარიანად გაგვაწვალებენ.“

ფერნანდო კოუტუს ნაკრებში მისი თანაგუნდელის, გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის, დეკო სოუზას წინააღმდეგ თამაში მოუწევს. ჟოზე მაურინიუ პაულუ ფერეირასაც ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს. ფერეირამ ორიოდ კვირის წინ ბრაზილიას ამხანაგურ მატჩში გოლი გაუტანა. მასპინძლებს ფეხის ტრავმის გამო მცველი მარიო სილვა არ ეყოლებათ.

„ლაციო“ 1998 წლის უეფას თასის ფინალისტია. რომაელები ნახევარფინალამდე ისე მივიდნენ, რომ სტუმრად გამართული ხუთი შეხვედრიდან სამი მოიგეს და ორჯერ ფრეს დასჯერდნენ.

მოლდოვასთან სანაკრებო მატჩში იააპ სტამი დაშავდა. ჰოლანდიელი დღეს გუნდს ვერ დაეხმარება და ალბათ ორი კვირით იძულებით დასვენებასაც გამოუწერენ. საეჭვოა დეიან სტანკოვიჩის გამოჩენაც. მან გასულ ტურში, „კომოსთან“, მუხლი იტკინა. მწვრთნელი თავდასხმაში ალბათ სიმონე ინძაგის ათამაშებს, რადგან ბერნარდო კორადის „ლაციოს“ შემადგენლობაში ევროთასებზე გამოსვლის უფლება არა აქვს.

ახლა რაც შეეხება „პორტუს“ დაპირისპირებას იტალიურ კლუბებთან და პირიქით, „ლაციოს“ მონაგარს პორტუგალიელებთან: „პორტუ“ 17-ჯერ შეხვედრია აპენინელებს, ოთხჯერ მოიგო, რვაჯერ წააგო და ხუთჯერ ფრეს დასჯერდა. „ლაციომ“ პორტუგალიელებთან გამართულ ექვს მატჩში ოთხჯერ იმარჯვა და ორჯერ დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ფერნანდო კორადის თამაშის უფლება არ აქვს, ფერნანდო კოუტუ კი ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება

## სელტიკი – ბოავიშტა

გლაზგო. „სელტიკ პარკი“

### სავარაუდო შემადგენლობები

| სელტიკი | ბოავიშტა |
|---|---|
| დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, ა. ტომპსონი, აგატი, ს. პეტროვი, ლენონი, ლამბერტი, ლარსონი, ჰართსონი | რიკარდუ, რუი ოსკარი, ავალოსი, ედერი, მარიუ, პედროსა, პედრუ სანტუში, ფილიპე, მარტელინიუ, ელპიდიუ სილვა, დუდა ვენტურა |

# პერეირა ღრიალს მიიღებს

## სელტიკი ოცნებაში გაიჩხირა

1975 წელს ეს გუნდები ერთმანეთს თასების მფლობელთა თასზე გადაეყარნენ. პორტუში მატჩი უგოლო ფრით დასრულდა, საპასუხო შეხვედრაში კი „სელტიკმა“ მეტოქეს 3:1 მოუგო.

გავიხსენოთ, რომ „ბოავიშტამ“ უეფას თასის ახლანდელი გათამაშების, მეოთხედფინალში ესპანურ „მალაგას“ სძლია. აქვე ერთი ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ: პორტუგალიელებმა ნახევარფინალამდე ხუთივე საშინაო მატჩში იმარჯვეს. „მალაგას“ თერთმეტმეტრიანების სერიაში აჯობეს. „ბოავიშტას“ გამარჯვებით გახარებული ქომაგები მოედანს მიაწყდნენ. მანამდე პენალტების სერიის შესრულებისას, ზოგიერთი ფოტოკორესპოდენტი მოედანზე დასეირნობდა. „ბოავიშტას“ გენერალური მენეჯერი ჟოზე ამარალი უეფასგან ორი მატჩით დისკვალიფიცირებული იყო და წესით ტრიბუნაზე უნდა მჯდარიყო, ის კი სათადარიგოთა სკამზე გამოიჭიმა. სამწვრთნელო შტაბის ორ წევრს, მანუელ პოვოაშს და ალფრედო კასტროს, მსაჯი შემოელანძღათ. ყველაფერი ეს „მალაგასთან“ შეხვედრაში მოხდა, უეფას დელეგატმა ჩააწიკწიკა და ბოავიშტელები 12 ათას 500 ევროთი დააჯარიმეს. ჟოზე ამარალს კიდევ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

„ბოავიშტას“ მეკარე რიკარდო პერეირა წინასამატჩო განწყობას არ უჩივის: „ცხადია, გლაზგოში უფრო მეტი ხალხი შეიყრება, ვიდრე პორტუში საპასუხო მატჩისას. მიზეზი ისაა, რომ შედარებით მომცრო სტადიონი გვაქვს. თუმც მე მიყვარს ისეთი ატმოსფერო, როგორიც გლაზგოში გველის. ცარიელ ტრიბუნების ყურებას მეტოქე გუნდის ქომაგთა ღრიალი მირჩევნია. ხალხმრავლობის გამო უპირატესობას „სელტიკს“ ვანიჭებ. ფინალამდე, რომელიც ჩემი ოცნებაა, ნაბიჯი გვაშორებს და უბრძოლველად არაფერს დავთმობთ“.

„ბოავიშტას“ მწვრთნელ ჟაიმე პაშეკუს ბიჭების ეიმედება: „ვინ იფიქრებდა, რომ ასე შორს შევტოპავდით? ბოლო სამ საშინაო მატჩში გუნდმა ნებისყოფა გამოავლინა და ურთულესი გამარჯვებები მოიპოვა. ამით ჩვენ რწმენა გაგვიორკეცდა და მჯერა, „სელტიკს“ ღირსეულად შევებრძოლებით“.

სტუმრებს დღეს ცხვირგატეხილი ბრაზილიელი მცველი პაულუ ტურა არ ეყოლებათ. ასევე ვერ ითამაშებს ვენესუელელი ნახევარმცველი პედრო სანტოსი, ხოლო გუნდის ბოლივიელი ლიდერი ერვინ სანჩესი ჯერ არ მოკეთებულა. სამაგიეროდ, ჯანზეა მეგოლეთა წყვილი — ელპიდიუ სილვა და დუდა ვენტურა.

მასპინძელი ჯონ ჰართსონი კბილებს ილესავს: „დარწმუნებული ვარ, ფინალში გავალთ. ძალიან მსურს, „ბოავიშტას“ შევხვედროდით. ნახევარფინალამდე პირველ მატჩებში მეტოქეებს ჩვენ ვმასპინძლობდით და სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია არ დაირღვა“.

„სელტიკის“ ნახევარმცველი სტივ გაპი დაშავებულია და შეიძლება სეზონის ბოლომდე ვეღარც ითამაშოს. გუნდს დაუბრუნდებიან მომჯობინებული ფეხბურთელები: ფრანგი დიდიე აგამი და ბელგიელი იოს ვალგაერენი. მარტინ ონილი მოსაგებად ემზადება: „ბოავიშტა“ გამოცდილი გუნდია და ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია. თუმცა ეს ძველი ამბავია, ახლა კი, ვფიქრობ, ჩვენ უკეთეს ფორმაში ვართ. შევეცდებით, დღესვე ისეთი ანგარიშით მოვიგოთ, რომ პორტუში მშვიდად გავემგზავროთ“.

„სელტიკის“ მონაგარი პორტუგალიურ გუნდებთან ასეთია: 18 მატჩში რვა მოგება, ორი ფრე და ოთხი მარცხი. „ბოავიშტა“ შოტლანდიელებს ორჯერ შეჰყრია. ერთი მატჩი წააგო და მეორე ფრედ დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**





ჯონ ჰართსონმა თავი ფინალში დაიგულა, პორტუგალიელთა მეკარე რიკარდო პერეირა კი ხალხის ღრიალს ითხოვს



ამდი ფაიემ სედანელი მზამი გადათამაშებაშიც ამოაყირავა

# სამართალმა ბურგუნდიული ღვინით იქეიფა

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ოსერი 3:1 სედანი**

1:0 მვარუვარი (32), 1:1 ნდიეფი (61), 2:1 მვარუვარი (84), 3:1 ჟ. სისე (90)

აქამდე რომ არ მოეგონებინათ, ამ თამაშის მერე უეჭველად გაჩნდებოდა ანდაზა, სამართალმა პური ჭამაო.

ეს მერვე ტურის მატჩი გახლდათ, რომლის გადათამაშებაც ფედერაციამ მსაჯის შეცდომის გამო ბრძანა. შეგახსენებთ: „ოსერი" იგებდა და „სედანმა" გაათანაბრა. მასპინძლებმა თამაში ცენტრიდან განაახლეს და წუთიც არ გასულიყო, პირველივე შეტევა მეორე გოლით დაასრულეს, მერე კი მესამეც შეაგდეს და საბოლოოდ, 3:1 მოიგეს. მსაჯის შეცდომა კი ის გახლდათ, რომ სედანელთა გოლის შემდეგ, მისმა ორმა ფეხბურთელმა საკუთარ ნახევარზე გადასვლა ვერ მოასწრო, მასპინძლებმა თამაში რომ განაახლეს და გაიტანეს. ერთი მხრივ, მსაჯის შეცდომა, თამაშის განახლების ნება რომ დართო, აშკარაა, მაგრამ ვფიქრობთ, არც იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, ფედერაციას შედეგი გაეუქმებინა და გადათამაშებაში დაენიშნა.

ასეა თუ ისე, გუშინწინდელი გადათამაშებაც ბურგუნდიელთა გამარჯვებით, თან იმავე ანგარიშით დასრულდა და მაძღარი სამართლის ანდაზაც ამან გაგვახსენა.

საამმატჩოდ გუნდებს საპირისპიროდ განსხვავებული მიზნები ჰქონდათ. „ოსერი" საუკეთესო ზონას უმიზნებს (ეგებ ჩემპიონთა ლიგასაც და გავბედოთ და ვთქვათ, ჩემპიონობასაც შესწვდეს), „სედანის" ერთადერთი სურვილი კი პირველ დივიზიონში დარჩენაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათმა აქტიურობამ მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. განსაკუთრებით სახიფათო მარცხენა ფლანგიდან დაწყებული იერიშები იყო — ამ ფლანგზე ხალილუ ფადიგა თამაშობდა. არანაკლებ გაისარჯნენ ბენჟამინ მვარუვარი და ოლივიე კაპო. სხვათა შორის, დუბლის შემსრულებელი მვარუვარი გი რუმ ჯიბრილ სისეს ნაცვლად ათამაშა სასტარტო შემადგენლობაში და არც ინანა, ხოლო როცა მოგვიანებით სისე შეუშვა, „ოსერი" მესამე გოლსაც გამორჩა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 32 | 16 | 9 | 7 | 55:36 | 57 |
| მონაკო | 32 | 15 | 10 | 7 | 49:25 | 55 |
| მარსელი | 32 | 16 | 7 | 9 | 34:29 | 55 |
| ბორდო | 32 | 15 | 9 | 8 | 46:32 | 54 |
| ნანტი | 32 | 15 | 7 | 10 | 35:29 | 52 |
| ოსერი | 32 | 14 | 9 | 9 | 32:27 | 51 |
| სოშო | 32 | 13 | 11 | 8 | 35:28 | 50 |
| პსჟ | 32 | 13 | 10 | 9 | 44:30 | 49 |
| ნიცა | 32 | 12 | 13 | 7 | 34:24 | 49 |
| გენგამი | 32 | 14 | 4 | 14 | 43:44 | 46 |
| ლანსი | 32 | 10 | 15 | 7 | 36:28 | 45 |
| ბასტია | 32 | 12 | 9 | 11 | 34:35 | 45 |
| სტრასბური | 32 | 9 | 11 | 12 | 34:44 | 38 |
| ლე ავრი | 32 | 9 | 8 | 15 | 24:38 | 35 |
| მონპელიე | 32 | 8 | 9 | 15 | 31:43 | 33 |
| ლილი | 32 | 8 | 9 | 15 | 26:42 | 33 |
| რენი | 32 | 8 | 8 | 16 | 27:38 | 32 |
| აიაჩო | 32 | 7 | 11 | 14 | 23:37 | 32 |
| სედანი | 32 | 8 | 6 | 18 | 32:51 | 30 |
| ტრუა | 32 | 6 | 9 | 17 | 21:35 | 27 |

# თორმეტს ექვსი ტური აკლია

*ბოლო ათწლეულში საფრანგეთში ჩემპიონს ტიტული არ შეუნარჩუნებია, ახლა კი, ვინ იცის, ეგებ შეინარჩუნოს — პირველობის დასრულებამდე ექვსი ტურია, რომელთაც ზედიზედ ხუთი გამარჯვებით ნელგამართული „ლიონი" დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობით და იმედით ხვდება.*

*დიახ, „ლიონს" და მის მდევრებს, „მონაკოსა" და „მარსელს" მხოლოდ ორი ქულა ანსხვავებთ. მაგრამ როგორც სათავადოს გუნდმა, ასევე ჩემპიონთა თასის ყოფილმა მფლობელმა, ბოლო ორი საშინაო შეხვედრა წააგეს, რაც მათი თამაშის მერყევ ბუნებაზე მეტყველებს, მერყეობამ კი კვანტის გამოდება იცის.*



სიდნეი გოვუს „ლიონი" საჩემპიონოდ შემართულა

თუმცა, ასე იქნება თუ ისე, როგორც დღევანდელი სურათიდან ჩანს, ლიგა 1-ის ჩემპიონი (არაფერი შეგვშლია, ფრანგებმა პირველ დივიზიონს ლიგა 1 დაარქვეს და ამით მისი ჟღერადობა უფრო პრესტიჟული გახადეს) იმ გუნდთაგანი იქნება, რომელიც ბოლო წლებში ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტდა.

„ლიონი", თუ გახსოვთ, სეზონის დასაწყისშივე აცხადებდა თვალშისაცემ პრეტენზიას. „ლიონს" საფრანგეთში ყველაზე დიდ ბიუჯეტთან ერთად ის სიკეთეც აქვს, რომ ყველაზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი ჰყავს შეძენილი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: გუნდი თავიდანვე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, შემდეგ უეფას თასს, რასაც ორივე შინაური თასიდან გამოგდება მოჰყვა და იანვარი რომ დადგა, ქომაგებმა საწვრთნელი ცენტრი დაარბიეს. მაგრამ, არ არსებობს ცუდი ამბავი, თან სიკეთე და სარგებელი რომ არ ახლდეს: ყოველგვარი თასებიდან იმთავითვე გამოგდებულმა „ლიონმა" აქეთ-იქით შეჯიბრებებში სირბილისგან დაისვენა და სეზონის ბოლო მონაკვეთს ერთობ სისხლსავსე შეხვდა. ან, შეიძლება სხვანაირად ვთქვათ: ამ გუნდს შესაფერის მომენტში შესაფერისი ნაბიჯის გადადგმის უნარი აქვს. გახსოვთ? — გასულ სეზონში ბოლო ტურში სძლია „ლანსს" და ჩემპიონიც გახდა.

„რატომ ვერ უნდა მოვიგოთ ბოლო ექვსი შეხვედრა? — კითხულობს თავდამსხმელი სიდნეი გოვუ — ამ სეზონში გასაჭირი საკმარისზე მეტი ვნახეთ და ახლა იღბლიანი დროება გვიდგას".

„მონაკო" და „მარსელი" კი, პირიქით, როგორც გარედან სჩანს, თანდათან იქანცებიან.

აი, მაგალითად, „მონაკო" — სეზონის დასაწყისში დიდხანს არ მარცხდებოდა, მაგრამ უცბად „ბორდოსა" და მეზობელ „ნიცასთან" ორი თამაში წააგო, თან ორივე შინ.

„თუ მიზნის მიღწევა გვინდა, მეტი აღარ უნდა წავაგოთ. ჩვენი ჯოკერი უკვე გამოყენებული გვყავს — ასე ამბობს ჟერომ როტენი, ნახევარმცველი — არა მგონია დარჩენილ თამაშებს „ნიცასთან" მარცხმა უარყოფითი დაღი დაასვას".

„მარსელს" უფრო უსიამოვნო ვითარება აქვს. მან შინ „პარი სენ ჟერმენთან" და „გენგამთან" წააგო, ახლა კი „ტრუასა" და „ლანსთან" უწევს სტუმრობა.

მეორე მხრივ, „მარსელს" ახალი პრეზიდენტი, კრისტოფ ბუშე და ახალი მწვრთნელი, ალან პერენი ჰყავს, რომლებიც სეზონის დასაწყისშივე აშკარად აცხადებდნენ, რომ მიზნად უმაღლეს გეგმებს ისახავენ.

სხვა თუ არაფერი, „მარსელს" ჩემპიონთა ლიგაში სურს მოხვედრა და თუ ეს შეძლო, მაგალითად, ბელგიელი მცველი დანიელ ვან ბუიტენი აღარ გაექცევა.

„ცხადია, რომ შინ ნაწვნევმა ორმა მარცხმა ჩვენი მანევრირების საშუალება მნიშვნელოვნად შეამცირა" — აღიარებს კაპიტანი მანუელ დოს სანტოსი.

სხვათა შორის, ჩემპიონი, რომელმაც ტიტული დაიცვა (გახსოვთ, წერილი რითი დავიწყეთ?) სწორედ „მარსელი" გახლდათ. ეს 1993 წელს მოხდა.

ამასობაში „ბორდომაც" რომ წამოჰყოს თავი, მაინცდამაინც არ უნდა გავიკვირვოთ. ბორდოელებსაც უნდათ ჩემპიონთა თასზე გასვლა. ამ გუნდს იანვრის შემდეგ, ანუ კალენდარულად 2003-ში, მხოლოდ ერთი თამაში აქვს წაგებული და პარასკევს „ლიონს" ეჯახება — ვინ იცის, რას ნიშნავს ამ თამაშის მოგება თუ წაგება?!

საბოლოოდ კი იმას გეტყვით, რომ ამწუთას საფრანგეთის ჩემპიონობის თეორიული შანსი 12 გუნდს აქვს და ამ თორმეტიდან ვერც ერთი ვერ იტყვის სხვებს ვჯობდი და ტიტული ამიტომ მოვიპოვეო. ლიგა 1 იქნებ მართლაც პრესტიჟულად ჟღერდეს, მაგრამ საფრანგეთში საკუთარი კლუბების სიძლიერეში ბევრს ეპარება ეჭვი.

და, ალბათ, უახლოეს მომავალში არაფერი გაუმჯობესდება, რადგან ჭორებს თუ დავუჯერებთ, ამ ზაფხულს ფრანგული კლუბებიდან უცხოეთში კიდევ ბევრი ფეხბურთელი გაიქცევა და ეს მაშინ, როდესაც საუკეთესო ფრანგები უკვე კარგა ხანია იქ არიან.

**ბაჩუნა ქედია**

# ჟარდელმა ისევ აურია...






ლადისლაუ ბოლონიმ ჟარდელს სამკურნალოდ გუნდში უხმო

**ლისაბონის** „სპორტინგი" დაკვირვებით კითხულობს პორტუგალიურ სპორტულ გაზეთ „რეკორდს" და საქმეს იძიებს. იქ, „რეკორდის" ერთ-ერთ სტატიაში წერია, რომ პორტუგალიაში ფრიად ცნობილმა 29 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა მარიო ჟარდელმა ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში, გვიან ღამით აყალმაყალი მოაწყო.

წინა სეზონის ევროპის საუკეთესო მომბარდირი (42 გოლით), ჟარდელი, რომელიც წლეულს ცოლთან განშორების გამო კარგად ვეღარ თამაშობს, თურმე ნუ იტყვით და მდიდრული სასტუმროს კარზე აბრახუნებდა, ვიღაც ორი კაცი მინდაო. იგი დაცვამ გამოიყვანა და ძმასა და მეგობარს ჩააბარა.

„სპორტინგი" თავის განცხადებაში ამბობს, რომ ახლა ფაქტებს შეამოწმებს და თუ დადასტურდება, ფეხბურთელს დასჯის.

სხვათა შორის, ინციდენტის ღროს სასტუმროდან „სპორტინგის" მწვრთნელს ლასლო ბოლონისაც დაურეკეს, მაგრამ იგი იქ რომ მივიდა, ჟარდელი უკვე წასული იყო.

ბრაზილიელი აგერ უკვე ორი თვეა დეპრესიაშია და აღარ თამაშობს. ბოლონიმ განაცხადა: „მან ერთხელაც გადააჭარბა. მწყინს, რადგან მისი პრობლემების ძლევის ერთადერთი გზა გუნდში დაბრუნება და თავდადებით თამაშია".

**ბაჩუნა ქედია**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ბარნლი 2:0 პრესტონი**

1:0 პაპადოპულოსი (42), 2:0 ა. ბლეიკი (61)

**გრიმსბი 0:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 რ. ბლეიკი (13)

**ლესტერი 1:0 ნოტინგემი**

1:0 რაიტი (37)

**კრისტალ პალასი 0:1 უოტფორდი**

0:1 ჰანტი (45ნ.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 40 | 25 | 11 | 4 | 84:38 | 86 |
| ლესტერი | 41 | 25 | 11 | 5 | 67:35 | 86 |
| შეფილდი | 40 | 20 | 10 | 10 | 63:44 | 70 |
| ნოტინგემი | 40 | 19 | 11 | 10 | 73:41 | 68 |
| ვულვზი | 41 | 18 | 13 | 10 | 69:38 | 67 |
| რედინგი | 40 | 21 | 4 | 15 | 50:40 | 67 |
| იფსვიჩი | 41 | 16 | 13 | 12 | 67:54 | 61 |
| ნორვიჩი | 41 | 17 | 10 | 14 | 55:45 | 61 |
| უიმბლდონი | 41 | 15 | 11 | 15 | 66:67 | 56 |
| ჯილინგემი | 41 | 14 | 13 | 14 | 53:61 | 55 |
| უოტფორდი | 41 | 15 | 9 | 17 | 49:61 | 54 |
| როტერჰემი | 40 | 14 | 11 | 15 | 55:53 | 53 |
| მილუოლი | 40 | 15 | 8 | 17 | 46:59 | 53 |
| კრ. პალასი | 41 | 12 | 16 | 13 | 51:46 | 52 |
| პრესტონი | 40 | 13 | 13 | 14 | 62:61 | 52 |
| ბარნლი | 40 | 14 | 10 | 16 | 60:75 | 52 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| ქოვენთრი | 40 | 12 | 12 | 16 | 44:54 | 48 |
| დერბი ქაუნთი | 40 | 13 | 7 | 20 | 48:63 | 46 |
| უოლსოლი | 40 | 12 | 7 | 21 | 51:65 | 43 |
| ბრაიტონი | 41 | 10 | 10 | 21 | 42:60 | 40 |
| სტოკი | 40 | 8 | 14 | 18 | 38:64 | 38 |
| გრიმსბი | 41 | 9 | 10 | 22 | 44:76 | 37 |
| უენსდი | 41 | 7 | 14 | 20 | 44:68 | 35 |

## პოლონეთი

### XX ტური

**კატოვიცე 1:0 რუხი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატოვიცე | 20 | 14 | 2 | 4 | 26:11 | 44 |
| ვისლა | 19 | 12 | 4 | 3 | 51:23 | 40 |
| ოდრა | 19 | 12 | 4 | 3 | 36:22 | 40 |
| ლეგია | 19 | 10 | 7 | 2 | 34:19 | 37 |
| გროცლინი | 19 | 10 | 6 | 3 | 32:20 | 36 |
| გურნიკი | 19 | 6 | 8 | 5 | 27:19 | 26 |
| ამიცა | 19 | 6 | 7 | 6 | 28:24 | 25 |
| პოლონია | 19 | 7 | 4 | 8 | 25:32 | 25 |
| რუხი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:26 | 24 |
| ლეხი | 19 | 5 | 7 | 7 | 25:24 | 22 |
| ზაგლებე | 19 | 5 | 5 | 9 | 22:24 | 20 |
| პლოცკი | 19 | 5 | 5 | 9 | 19:26 | 20 |
| გარბანია | 19 | 5 | 5 | 9 | 29:38 | 20 |
| ვიძევი | 19 | 4 | 6 | 9 | 17:29 | 18 |
| ოსტროვიცი | 19 | 4 | 3 | 12 | 17:37 | 15 |
| პოგონი | 19 | 1 | 3 | 15 | 11:43 | 6 |

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდი
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი
1001 ლარიდან
ZEUS COMPANY ზევსი
ბილიარდალ Biliijardal
აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) No:2

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**IV ჯგუფი. VI ტური**

**კობრელოა (ჩილე) 4:0 ალიანსა (პერუ)**

**ოლიმპია (პარაგვაი) 4:1 ხიმნასია (არგენტინა)**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კობრელოა | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| ოლიმპია | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 9 |
| ხიმნასია | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 7 |
| ალიანსა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |

*„კობრელოა" და „ოლიმპია" გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*

**VI ჯგუფი. V ტური**

**ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) 2:2 უნივერსიტარიო (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| რასინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| უნივერსიტარიო | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| ორიენტე პეტროლერო | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

**VIII ჯგუფი. VI ტური**

**კრუზ აზული (მექსიკა) 4:0 ფენიქსი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:6 | 12 |
| კრუზ ასული | 6 | 3 | 0 | 3 | 12:11 | 9 |
| ფენიქსი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:14 | 6 |
| სთრონგესტი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |

*„კორინთიანსი" გასულია შემდეგ ეტაპზე*

# მაკმანამანი ბექემის იმიჯმეიკერია






*დიდების მწვერვალზე მყოფ ლონდონელ-მანჩესტერელ ვარსკვლავბიჭუნას დიდებული ჭორებიც სდევს თან. ამას წინათ მთელი საფეხბურთო (და არა მარტო საფეხბურთო) სამყარო ბექემის მადრიდის „რეალში“ გადაბარგების შესაძლებლობებზე ალაპარაკდა. მანჩესტერელი ლეგენდის შესახებ ყოველი ცინცხალი ცნობა ფრიად საინტერესოა, მით უმეტეს, თუ მასზე მისივე დოსტები ისაუბრებენ, სხვა რაღა სჭირდება ფეხბურთით დამაშვრალ მრავალეროვან ფან-ჯიგიტობას! გთავაზობთ ბექემზე არანაკლებ ექსცენტრული ვარცხნილობისა და კელტური პირისახის მქონე, მაგრამ საფეხბურთო ოსტატობით ნაკლებად განთქმული მადრიდელი ინგლისელის, სტივ მაკმანამანის ინტერვიუს ესპანელ ჟურნალისტებთან, სადაც ძირითადად „სტივის“ მანჩესტერელ ძმაკაცზეა საუბარი.*

**— ალბათ იცით, რომ ბექემის „რეალში“ გადმოსვლის შემთხვევაში შეიძლება უძლიერესი კონკურენტი გაგიჩნდეთ. ორივენი ნახევარმცველის მარჯვენა ფლანგზე თამაშობთ და თქვენ კი კონტრაქტით ერთი წელიწადი კიდევ უნდა იყოთ „რეალში“. თუ გიფიქრიათ ამის შესახებ?**

— არა, ჯერჯერობით ამაზე ფიქრი და ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. დევიდის მადრიდული ამბები ჯერ მხოლოდ ჭორის დონეზეა. ბექემი ჩემი მეგობარია, შესანიშნავი პიროვნებაა და ამჟამად ნამდვილად არ მიწევს კონკურენციას. იგი ახლა „მანჩესტერის“ საკუთრებაა, მაგრამ თუ ეს ხმები გამართლდა და ჩვენთან ჩამოვიდა, მერწმუნეთ, მაშინ სავსებით სერიოზულად შეგიძლიათ მკითხოთ ამის შესახებ.

**— რას იტყვით, შეეწყობოდა თუ არა ბექემი „რეალს“ სტადიონს გარეთ?**

— ჩვენს გუნდში ძლიერ კარგი გარემო სუფევს. აქ განსხვავებულ ხასიათთა მთელი გამაა, მაგრამ ეს არავითარ პრობლემას არ ქმნის. „რეალთან“ შეთვისება ადვილია და ყველა ჩვენი ფეხბურთელი, ჩემი ჩათვლით, შესანიშნავად გრძნობს თავს სამეფო კლუბში.

**— პრესა ყოველთვის ნადირობდა პოპულარულ ადამიანებზე. დევიდსა და მის მეუღლეს თუ დაემუქრებოდათ ესპანეთში ჟურნალისტთა გადამეტებული ცნობისმოყვარეობა?**

— ვერაფერს გეტყვით, რთულია ამაზე ლაპარაკი. ერთადერთი, რაც ვიცი, ის არის, რომ ბექემი ნამდვილი პროფესიონალია და მისი ყურადღება საკუთარ კლუბსა და ნაკრებს მთლიანად ეთმობა. უმჯობესი იქნება თუ ამ საკითხის შესახებ არ ვისაუბრებთ.

**— ესპანური ენა თუ იცის დევიდ ბექემმა?**

— არა, მან სრულებით არ იცის ესპანური.

**— მადრიდის რომელ უბანში ურჩევდით თქვენს მეგობარს სახლის ყიდვას?**

— ლა მორალეხას ან კონდე ორგასს ვურჩევდი. მადრიდში ბევრი კარგი ადგილია.

**— ესპანური ცხოვრების წესი სხვაა, ბექემების ოჯახისა კი, სულ სხვანაირი. შეექმნებოდათ თუ არა დევიდსა და ვიქტორიას პრობლემები ამის გამო?**

— არავითარი პრობლემები არ შეექმნებოდათ. მადრიდი დიდი და კოსმოპოლიტური ქალაქია და დევიდიც აქაური ცხოვრებითა და კერძებით მოხიბლული დარჩებოდა.

**— ამბობენ, თუ ბექემი „რეალში“ გადავიდა, გუნდებმა შეიძლება ფეხბურთელები გაცვალონო. თქვენ თუ მიიღებთ ამ პროცესში მონაწილეობას?**

— არა, ეს ჩემთვის დაუშვებელია. „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ ისევე არიან ერთმანეთთან, როგორც „ბარსელონა“ და „რეალი“. ეს იგივე იქნებოდა, რომ მე ახლა მადრიდიდან „ბარსაში“ გადავსულიყავი სათამაშოდ.

**— მართლა ასე მოლუშული და უკარებაა მანჩესტერელთა მე-7 ნომერი, თუ ეს მხოლოდ გარეგნული ეფექტია?**

— დევიდი მაგარი კაცია, კარგი ხასიათისა და შესანიშნავი იუმორის მქონე. დარწმუნებული ვარ, მას ახლოს რომ იცნობდეთ, იგი მოლუშულად და მით უმეტეს, მიუკარებლად აღარ მოგეჩვენებოდათ.

**— ინგლისში თუ ფიქრობენ იმაზე, რომ დევიდმა შეიძლება კარიერა მადრიდში გააგრძელოს?**

— ახლა ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვი, ჭორის დონეზეა, მაგრამ თუ ფიქრობენ ამის შესახებ, ეს ყოველივე „რეალის“ მიღწევათა დამსახურებაა. ჩვენი გუნდი ხომ ყველაზე ძლიერი და ტიტულოვანი კლუბია მსოფლიოში.

**— დევიდმა თქვა, რომ „რეალთან“ დაკავშირებული მითქმა-მოთქმა მას ღირსებას მატებს. თქვენ რას იტყვით?**

— გეტყვით, რომ დევიდი მართალია. მისთვისაც და მსოფლიოს ნებისმიერი ფეხბურთელისთვისაც სამეფო კლუბში თამაში უდიდესი პატივია.

**ლადო ხომერიკი**



**უელსელი გიგზი ინგლისელებმა დაისაკუთრეს**

# პრემიერლიგის ათწლეული სიმბოლურად

რაკი ინგლისური პრემიერლიგის დაარსებიდან ათი წელი გავიდა, იქაური ფეხბურთის მესვეურებმა საყოველთაო გამოკითხვა მოაწყვეს ამ ათწლეულის საუკეთესოთა გამოსავლენად. ამ წამოწყებაში ფეხბურთის მესვეურებს მხარი ხალხმაც აუბა და საბოლოო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეობა 184 ქვეყნიდან 750 ათასმა ქომაგმა მიიღო.

მერე, როგორც წესია, შედეგები შეაჯამეს და ორი სიმბოლური ნაკრებიც შეადგინეს: ამ ათწლეულში პრემიერლიგაში მოთამაშე უცხოელებისა და ინგლისელებისა.

## უცხოელთა სიმბოლური ნაკრები

პიტერ შმაიხელი (დანია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), იაპ სტამი (ჰოლანდია), მარსელ დესაი (საფრანგეთი), დენის ირვინი (ირლანდია), ფრედერიკ ლიუნგბერგი (შვედეთი), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), როი კინი (ირლანდია), რობერ პირესი (საფრანგეთი), ერიკ კანტონა (საფრანგეთი), ტიერი ანრი (საფრანგეთი)

## ინგლისელთა სიმბოლური ნაკრები

დევიდ სიმენი, გარი ნევილი, ტონი ადამსი, სტივ ბრიუსი, სტიუარტ პირსი, დევიდ ბექემი, პოლ ინსი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი, ალან შირერი, მაიკლ ოუენი

რაიან გიგზი თავის დროზე ინგლისის მოსწავლეთა ნაკრებში თამაშობდა და მოგვიანებითღა გადაწყვიტა უელსელობა.

# ცოტა ქულამ ცოტა ფული მოიტანა

„სანდერლენდის“ საქმე ცუდადაა. კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გულდასაწყვეტი სეზონის მიწურულს კლუბის ბიუჯეტმა სერიოზული ზარალი ნახა. როგორც კი ჩემპიონატი დასრულდება, თანამდებობას გამოეთხოვება კომპანია „სანდერლენდ PLC“-ს აღმასრულებელი შეფი ჰიუ რობერტსი.

ფინანსური სურათი ასეთია: იანვრისთვის, კლუბის ექვს თვეში ნაწნევი დანაკარგში 7,45 მილიონ დოლარს გაუტოლდა. თუ ამ მონაცემს ერთი წლის წინანდელს შევადარებთ, ვნახავთ, რომ სხვაობა საოცარია — 2002-ის იანვრისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 200 ათას დოლარს უდრიდა. ამასობაში გაიზარდა ხელფასები. შარშან ჯამაგირებზე ბიუჯეტის 46 პროცენტი მიდიოდა, წლეულს 70 პროცენტი.

ასეთი სავალალო მდგომარეობა ნაწილობრივ, ოქტომბერში მოხსნილი მწვრთნელის, პიტერ რიდის გასტუმრების ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ რიცხვებში რიდის შემცვლელის, ჰოვარდ უილკინსონის გათავისუფლება არ არის აღრიცხული — უილკინსონი მარტში გაუშვეს.

თუ ინგლისური პრემიერლიგის ცხრილი არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ „სანდერლენდი“ 20-გუნდიან ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა. მას 32 შეხვედრიდან მხოლოდ 19 ქულა აქვს.

კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში წერია: „ჩვენი ბიზნესის როგორც სათამაშო, ასევე არასათამაშო მხარეს მტკივნეული ჩარევა სჭირდება. მნიშვნელოვანია შეცდომის აღიარება — უილკინსონის დანიშვნას ვგულისხმობთ და საჭიროა ხელი შევუწყოთ ახალ მწვრთნელს, რომელიც მომავალ სეზონში წარმატებას მიაღწევს“.

შეგახსენებთ, რომ უილკინსონის შემდეგ „სანდერლენდის“ სათავეში ირლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, მიკ მაკარტი დაინიშნა.

იმთავითვე ცნობილია, რომ კლუბის დანაკარგთა წლიური მაჩვენებელი შემაძრწუნებლად მაღალი იქნება ექვსთვიან მაჩვენებელზე.

**ბაჩუნა ძიძია**



**„სანდერლენდს“ საქმე ცუდად აქვს, პიტერ რიდს ფულს ძლივს უსტუმრებს და მარტო მიკ მაკარტიმ რა უნდა იღონოს**



# შეიარაღებული მამალი კემპბელმა ბექემს გაუტეხა

*ცხოვრებაში მშვიდია, მოედანზე — უწყინარი. მრავალთა აზრით, იდეალური მცველია. სულზეირ ჯერემი კემპბელს მეგობრებიც და თაყვანისმცემლებიც სოლს ეძახიან. ინგლისურ საფეხბურთო სამყაროში მის პირად ცხოვრებაზე თითქმის არაფერი იციან. თავის წინაპრებზე არასოდეს საუბრობს და ჟურნალისტებთან ურთიერთობას გაურბის. ამბობენ, თითქოს კემპბელის წინაპრები იამაიკაზე შაქრის ლერწამს ამუშავებდნენ. ზოგიერთი ვერსიით, მის ძარღვებში ებრაული სისხლიც ურევია. როცა ამ თემაზე ეკითხებიან, ფეხბურთელი მხოლოდ ქათქათა კბილების გამომზეურებით პასუხობს. ორი წლის წინ, „ტოტენჰემიდან" „არსენალში" გადაბარგების შემდეგ, ფეხბურთელს ჰკითხეს, ბავშვობიდან „მამლების" ქომაგს დაუძინებელი მტრის ბანაკში გადასვლისა არ გრცხვენიაო? „ვინ გითხრათ, რომ ბავშვობიდან „ტოტენჰემს" ვგულშემატკივრობ? — უპასუხა კემპბელმა — ვერ გამოიცანით. მე ყოველთვის „ვესტ ჰემის" ქომაგი ვიყავი".*

1974 წლის 19 სექტემბერს ლონდონის გარეუბან ნიუჰემში ქვეყანას მოევლინა ბიჭი, რომელსაც სულზეირ ჯერემი დაარქვეს. ჯან-ღონით სავსეს და კეთილი გულის პატრონს, თანატოლები და უფროსები აფასებდნენ. „ღმერთმა ძალა იმისთვის მომცა, რომ კეთილი საქმეები ვაკეთო" — ხშირად იმეორებდა გოლიათი.

„ვესტ ჰემს" კი გულშემატკივრობდა, მაგრამ „ტოტენჰემის" სკოლაში აღმოჩნდა, სადაც ფეხბურთის ანბანი ისწავლა. მარცხენა ფეხით უკეთ მოთამაშე დაცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესეს და ამ პოზიციაზე თამაშობდა, სანამ „მამალთა" ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდა.

18 წლის იყო, „დიდ მამლებში" პირველად რომ „დაიყივლა". „ტოტენჰემი" „ჩელსის" ხვდებოდა. ყმაწვილმა კემპბელმა თავის საქმეც აკეთა და გოლიც კი გაიტანა. ასეთი დებიუტი ფორვარდებისთვისაც კი სანატრელია. მიუხედავად ამისა, იმ სეზონში ძირითად თერთმეტეულში აღარ უთამაშია. „არ ვიცი, რატომ აღარ მათამაშეს, ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი კარგად გამომდიოდა" — იხუმრა სოლმა.

სამაგიეროდ, მომდევნო წელს მწვრთნელი ენდო და არც შემცდარა. კემპბელი თუ ვინმეს ადგილს უთმობდა, მხოლოდ ტრავმის გამო. „ტოტენჰემში" 9 წლის მანძილზე 300-მდე მატჩი მოუგროვდა.

პირველივე, 1993-94 წლების სეზონში მისმა თამაშმა სპეციალისტები აღაფრთოვანა. ასაკის კვალობაზე მოედანზე ბრძენივით ირჯებოდა. დაცვის ხაზში ისე ჩაეწერა, რომ გაცილებით გამოცდილი თანაგუნდელები მის ფონზე ახალბედებივით გამოიყურებოდნენ. საჰაერო ორთაბრძოლებში უბადლო იყო, იოლად ვერავინ გაექცეოდა. 91-კილოგრამიან გიგანტთან ჭიდილი ყველას უჭირდა, მისი კორექტულობა კი მისივე სავიზიტო ბარათად იქცა.

უკნიდან ფეხებში არავის ჩაუხტება, არც მაისურაზე დაქაჩავს. წესებს ძალიან იშვიათად არღვევს და მხოლოდ სათამაშო ვითარებიდან გამომდინარე. „მე ყველას პატივს ვცემ. თუ შენს მოწინააღმდეგეს არ აფასებ, როგორც ფეხბურთელს, მაშინ საერთოდ არ ღირს მოედანზე გასვლა. თუ მეტოქე პატიოსნად თამაშობს, ხელით ბურთს არ აჩერებს და ჩუმ-ჩუმად იდაყვს არ გირტყამს, მაშინ შენც ასევე უნდა მოიქცე. როცა მაიკლ ოუენს ვარდნაში ბურთს ვართმევ, ან რაიან გიგზის ქროლვას ვეწინააღმდეგები, ან კიდევ შირერს ვაჯობებ, მსიამოვნებს. ნებისმიერმა მცველმა იცის ეშმაკური ხერხები, მსაჯისგან მალულად ფორვარდების წინააღმდეგ რომ გამოიყენოს, თუმცა გამოიყენებს თუ არა, მის კაცობაზეა დამოკიდებული. ცხადია, ხანდახან მეტოქის შეჩერება წესის დარღვევითაც მიწევს, მაგრამ „მსახიობებს" ისევე ვერ ვიტან, როგორც ბანქოს თამაშში თაღლითებს".

სოლ კემპბელის გულწრფელობაში დასარწმუნებლად სტატისტიკაც გამოდგება. ყვითელი ბარათი უხეშობისთვის კი არა, უფრო მსაჯებთან კამათისთვის მიუღია, როცა თავის სიმართლეს უმტკიცებდა. ათი წლის მანძილზე მხოლოდ ორი წითელი ბარათით „დაიტრაბახებს", თან მისი გაძევების ორივე შემთხვევაში მსაჯებს მოგვიანებით თავისი შეცდომები უღიარებიათ.

„ტოტენჰემში" კემპბელი ხან ცენტრში, ხანაც მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. 1998-99 წლებში ახალმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე გადაიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ კემპბელს იმ პოზიციაზე საქმე არ წაუხდენია. რა თქმა უნდა, გიგზივით არ ნავარდობდა, მაგრამ ექვსი გოლი კი გაიტანა. მერე, როცა მწვრთნელი შეიცვალა, ექსპერიმენტი დასრულდა, რადგან იგი უფრო დაცვის ცენტრს სჭირდებოდა.

„ტოტენჰემში" ბოლოს კაპიტნის სამკლავურიც ერგო, „მამლების" ქომაგთა კერპი გახდა, მაგრამ 2001-ში ყველაფერი თავდაყირა დადგა. სეზონი სრულდებოდა. კემპბელის კონტრაქტის ვადა იწურებოდა, თუმცა იგი კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობდა. დარჩენის სანაცვლოდ ჯამაგირის გაზრდა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. კლუბის პრეზიდენტმა ალან შუგარმა ერთიორჯერ უდიერადაც მოიხსენია.

ამაყმა და შეურაცხყოფილმა ფეხბურთელმა მაშინვე თქვა, „ტოტენჰემში" აღარ გაჩერდებიო. „ბაიერნი", „რეალი", „ბარსელონა" და „ინტერი" რიგში იდგნენ, მაგრამ კემპბელს ინგლისიდან წასვლა არ სურდა: „ინგლისიდან არსად წავალ. ჯერ ერთი, მინდა, რომ ნაკრებში ვითამაშო და ამისთვის ერიკსონის თვალწინ ყოფნაა საჭირო. ჩვენს ნაკრებში ლეგიონერებს არ სწყალობენ, თან კონტინენტზე ინგლისელი ფეხბურთელისთვის დამკვიდრება საკმაოდ ძნელია. პრობლემა კიდევ ჩემი კანის ფერია, აქ შავკანიანები თავს კარგად ვგრძნობთ, რასაც იტალიაზე ან ესპანეთზე ვერ ვიტყვი. გარწმუნებთ, ინგლისში დავრჩები, მაგრამ „ტოტენჰემში" არა. ახალი კლუბის სახელს მალე შეიტყობთ".

მისი სიტყვებიდან გასაგები იყო, რომ ახალი გუნდი სამიდან — „მანჩესტერი", „ლივერპული", „არსენალი" — ერთი იქნებოდა. პირველ ორს კიდევ არა უშავს, მაგრამ „არსენალი" ხომ „მამლების" ძირძველი მტერია. ჰოდა, „უაით ჰართ ლეინიდან" „ჰაიბერიზე" კემპბელის გადასვლა ალან შუგარის რეპუტაციისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. მან მოგვიანებით თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. „არსენალს" ძალიან სურდა კემპბელი და მუქთადაც გადაიბირა, თუმცა გაცილებით მეტი ჯამაგირიც დაუნიშნა, ვიდრე „ტოტენჰემში" ჰქონდა.

„9 წელიწადი თქვენთან ვიყავი. ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. გუნდის გამოცვლა ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ უნდა გამიგოთ. მადლობელი ვარ. მარად თქვენი სოლ კემპბელი" — აი, ასე დაემშვიდობა ფეხბურთელი „ტოტენჰემის" გულშემატკივრებს.

არც გაუგეს და არც აპატიეს. ან როგორ აპატიებდნენ სძულველი მტრის ბუნაგში გადასვლას? კემპბელის სახლს პოლიციის დაცვაც კი დასჭირდა. მუქარების მიუხედავად, ყველაფერი მშვიდად დასრულდა და „მეთოფეებმა" 23-ნომრიანი მაისურა ჩააცვეს.

„მე „არსენალში" იმისთვის გადავედი, რომ არსენ ვენგერთან ერთად წარმატებებს მივაღწიო. 27 წლის ვარ და ჯილდო არ მღირსებია. ვეცდები, ახალ გუნდში იმედები გავამართლო". კარგი მცველი „არსენალს" ნამდვილად სჭირდებოდა. სტივ ბოულდმა და ნაიჯელ უინტერბერნმა კარიერა დაასრულეს, ადამსს, კიოუნსა და დიქსონს ტრავმები აწუხებდათ. ახალი სისხლი აუცილებელი იყო.

„ტოტენჰემის" ახალმა მეპატრონეებმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და სოლ კემპბელის გვარი კლუბის ლეგენდების ნუსხიდან ისე ამოშალეს, თითქოს მას იქ არასოდეს ეთამაშა.

ქომაგებმა ბოღმა გულში ჩაიდეს. პირველივე ლონდონურ დერბიში „უაით ჰართ ლეინზე" დაახლოებით 30 ათასი ბუშტი გამოფინეს, რომლებსაც „იუდა" ეწერა. ბურთთან კემპბელის შეხებას გამაყრუებელი სტვენით ხვდებოდნენ.

მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა თქვა: „სასიამოვნო ამ ამბავში არაფერია, მაგრამ ასეთი დახვედრით მე რას დამაკლებდნენ? შინაგანად „სპექტაკლისთვის" მზად ვიყავი. ღმერთი მაღლიდან იყურება და ყველას საკადრისს მიაგებს".

„არსენალთან" ერთად პრემიერლიგა და ინგლისის თასი მოიგო, ანუ ის რაც „ტოტენჰემში" აკლდა. ამჟამად „მამლებს" თავის პრობლემებიც თავზე საყრელად აქვთ და კემპბელი მიავიწყდათ კიდეც. თუმცა „მეთოფეებში" გადასულმა „ტოტენჰემს" შემცვლელი დაუტოვა — ლედლი კინგი. ეს ბიჭი გარეგნულადაც და თამაშის მანერითაც სოლ კემპბელს ჰგავს. მან სვენ გორან ერიქსონის ყურადღებაც კი დაიმსახურა.

რა გასაკვირია, რომ კემპბელის დონის მცველს ეროვნულ გუნდში უხმეს. 1996-ში 22 წლის ფეხბურთელი ტერი ვენეიბლზმა ევროპის ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა, მაგრამ არ ათამაშა. სამაგიეროდ, გლენ ჰოდლის მისვლის დღიდან სტაბილურად დამკვიდრდა შემადგენლობაში და ხუთ ათეულზე მეტი მატჩიც მოაგროვა. როგორც არ უნდა დასრულდეს ინგლისის ნაკრების მატჩი, კემპბელზე აუგი არავის დასცდება. 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატების შემდეგ საუკეთესოებს შორის მოხვდა, ხოლო შარშან მუნდიალის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

„ჩემთვის — თქვა სვენ გორან ერიკსონმა — იგი იდეალური მცველია. მას მხოლოდ თავისი ფუნქციების კარგად შესრულება კი არა, იმპროვიზაციაც შეუძლია. ის ლიდერია, თანაგუნდელებს მითითებებს აძლევს და თუ საჭიროა, ხმასაც აუწევს. ბედნიერებაა, რომ ასეთი ფეხბურთელი გვყავს".

მოკლედ, კემპბელის ცხოვრებაში ყველაფერი არცთუ ურიგოდ აეწყო. თუმცა რასიზმის პრობლემა, რომელიც ინგლისში მოგვარებულია, ზოგიერთ ქვეყანაში ისევ ნავარდობს.

პირად ურთიერთობაში, ჰესკის, ან კემპბელის შეურაცხყოფას კანის ფერის გამო ვერავინ გაბედავს, რადგან ამ გოლიათებისგან საკადრის პასუხს მიიღებს. თუმცა ტრიბუნებიდან მაინც წამოაძახებენ ხოლმე. ასე იყო ალბანეთში და სლოვაკეთში. „ეს ამაზრზენი ფაქტია — დაიჩივლა კემპბელმა. ცდილობენ, წონასწორობიდან გამოგვიყვანონ და გვაიძულონ, ფეხბურთის თამაშისას მათ შეძახილებს ვუსმინოთ. პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ. ხალხი, რომელიც კანის ფერის გამო გვლანძღავს, მეცოდება. ისინი ავადმყოფები არიან. უფრო დაბლა დაცემა შეუძლებელია. ეს მახინჯი მოვლენა ძირფესვიანად მოსაკვეთია".

სოლ კემპბელი, ბევრი ინგლისელი ფეხბურთელისგან განსხვავებით, სკანდალებში იშვიათად გარეულა. არც კაფე-ბარები დაულეწია და არც ვინმე უცემია ღამის კლუბში. მოძრაობის წესების დარღვევისთვის პოლიციამ მხოლოდ ერთხელ გააჩერა.

და კიდევ, დევიდ ბექემის ქორწილში შემთხვევით 12 კაცზე გათვლილი უნიკალური სერვიზი დაუმტვრევია. აი, ასეთია სოლ კემპბელი.

**გაგა ხუციშვილი**





სოლ კემპბელი და დევიდ სიმენი დიდი კაცები არიან, ეს სტადიონი, აბა, რას ეყოფათ



# ტედი ელის და ჯანზეა

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ტედი შერინგემი ამბობს, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურში" მისი ყოფნა-არყოფნა გუნდის მომავალი ექვსი თამაშის შედეგებზეა დამოკიდებული.

საქმე ის გახლავთ, რომ შერინგემისა და ლონდონური კლუბის ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ძალას ჰკარგავს და ახლა გასარკვევია, გაგრძელდება თუ არა ახალი.

„მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა ერთი ხნის წინ მითხრა, რომ სეზონის დასრულებას დაელოდება, რათა გაარკვიოს სად ვართ. კერძოდ, მას აინტერესებს, ვიქნებით თუ არა ევროპული შეჯიბრების მონაწილე და შესაბამისად, რა თანხა დაგვჭირდება. ერთი სიტყვით, ჩემზე აბსოლუტურად არაფერია დამოკიდებული. მე მხოლოდ ველოდები. „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წამოსვლის შემდეგ ორი წლით „ტოტენჰემში" მოვედი და ახლა ამ ხელშეკრულებას ვადა გაუდის. რას ვიზამ, კარგად მესმის რა მდგომარეობაც არის თანამედროვე ფეხბურთში შექმნილი" — განუცხადა შერინგემმა „როიტერს" საქველმოქმედო საღამოზე ყოფნისას.

შერინგემი, რომელიც ერთი კვირის წინ 34 წლისა შესრულდა, სტენსტედის აეროპორტში „ორბისის" 21 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გახლდათ მიწვეული. „ორბისი" განვითარებად ქვეყნებში უსინათლოთა პრობლემებს ებრძვის.

„სეზონის დასრულებამდე ჯერ ღრმად ბევრი ქულა უნდა გავთამაშდეს. ჩვენ ამ ქულებისთვის ბრძოლაში ვერთვებით და გვინდა საბოლოოდ შეძლებისდაგვარად საუკეთესო ადგილზე გავიდეთ" — დასძინა მან, მიუხედავად იმისა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ევროთასზე გასვლის დიდი შანსი ნამდვილად არ აქვს.

მიუხედავად ასაკისა და იმ ბერკეტისა, პრემიერლიგაში გატანილი მეტი 300 გოლისა, შერინგემი ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ აპირებს და თუ საჭირო გახდება, ახალ კლუბს მოძებნის.

„თავს ჯანმრთელად და ფეხბურთისთვის შესაფერისად ვგრძნობ. მსიამოვნებს თამაში და შევეცდები ეს სიამოვნება რაც შეიძლება გავიხანგრძლივო" — ამბობს ის.

**კაკუნა კედია**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ლევან კობიაშვილის ბედის წიგნში რუსეთი არ აწერია

## ფრაიბურგის კაპიტანი სამი კვირა დაისვენებს



კობიაშვილი სამი კვირა ვერ ითამაშებს

**საქართველო — შვეიცარიის** 2 აპრილის მატჩისას ლევან კობიაშვილი ბურთისთვის იბრძოდა, სტუმარი ფეხბურთელის გაშლილი ფეხი რომ მოხვდა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს შეცვლათა ლიმიტი უკვე ამოწურული ჰქონდათ და ლევანიც, მუხლის საშინელი ტკივილის მიუხედავად, იძულებული გახდა, მოედანზე დარჩენილიყო და მატჩი ფაქტობრივად ცალი ფეხით ჩაემთავრებინა. მერე კი გასახდელი, თანაგუნდელ ზურაბ ხიზანიშვილის მსგავსად, მტკივან ფეხზე შემოხვეული ყინულის საფენით დატოვა, კლუბში დაბრუნდა და გერმანელი ექიმების საგულდაგულო შემოწმების შემდეგ გაარკვია, რომ ორი-სამი კვირა დასვენება მოუწევს.

— გადავრჩი, ტრავმა უფრო მძიმე მეგონა. იმ მომენტში, როცა მეტოქის ფეხი მომხვდა, ტკივილისგან ლამის გონება დავკარგე — გვითხრა ლევანმა — თავიდან მეგონა, მუხლის ჯვარედინი იოგები გამიწყდა და ამაზე ძალიან ვინერვიულე. საბედნიეროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, მყესების დაზიანება მაქვს. მკურნალობას ორი-სამი კვირა დასჭირდება. „ფრაიბურგს“ დროებით ჩამოვშორდი და ახლა ექიმების კონსულტაციებს ვისმენ. მოკლედ, გადავრჩი, თუ ამას გადარჩენა ჰქვია...

ტრავმა რომ არა, ლევან კობიაშვილი 30 აპრილს რუსეთთან მაინც ვერ ითამაშებდა, შვეიცარიასთან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

— გაფრთხილებისთანავე რუსეთთან მომავალი მატჩი გამახსენდა. მსაჯმა ყვითელი ბარათის ამოღება რომ დააპირა, ერთი კი ვთხოვე, მეორეა, ნუ გამაფრთხილებ-მეთქი, მაგრამ არ დამინდო. არადა, ძალიან მსურდა რუსებთან თამაში. ყვითელი ყვითლად და, იმ ეპიზოდში მსაჯს რომ არ გავეფრთხილებინე, თურმე მაინც მომიწევდა რუსებთან შეხვედრის გამოტოვება. ორ კვირაში რომც მოვმჯობინდე, 30 აპრილისთვის სასურველი ფორმის აღდგენას ვერ მოვასწრებ.

ამასობაში კი საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. რას ფიქრობს ივო შუშაკზე ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი?

— ახალ მწვრთნელს პირადად არ ვიცნობ, თუმც გადმოცემით ვიცი, რომ მაღალი დონის სპეციალისტია. შუშაკი ხომ წელიწადია, საქართველოში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ის ქართული ფეხბურთის, ქართველი ფეხბურთელების შეცნობას უკვე მოასწრებდა. ვნახოთ, რა გამოვა. მწვრთნელის ცვლილებას ყოველთვის იმედიანი განწყობა მოაქვს.

**კობა ინასარიძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



ვალერი გაზაევს პორტუგალიაში წასასვლელად საქართველოს ნაკრების დამარცხება სჭირდება

# დასცხე საქართველოს, იხსენ რუსეთი!

## დამქანცველ რუსებს მჟავე წყალი და თითის ქნევა გამოუწერეს

**რუსეთი**

**30 აპრილს** საქართველო — რუსეთია. მწვრთნელშეცვლილ ქართველთაგან განსხვავებით რუსს დიდი სატურნირო მოტივაცია აქვს და ამთავითვე ემზადება ალბანეთთან გაბითურებით არეული საქმის გამოსასწორებლად. მოვუგოთ საქართველოს და პორტუგალიაში წავალთ — დღეს ამდაგვარი ლოზუნგებითაა დამუხტული რუსული მედია. შკოდერული სირცხვილის შემდეგ გვარიანი კრიტიკა რომ დაატეხა თავს გაზაევს და მის ამქარს, თავად ვალერი გიორგიევიჩი იმედოვნებს, რომ მიუხედავად მოსალოდნელი რთული მატჩისა, საბოლოო გამარჯვება მის გუნდს დარჩება. მოკლედ, ალბანეთთან წაგებამ რუსეთს საპორტუგალიო გზა საქართველოზე გავლით დაუტოვა და, ცხადია, სატურნირო თვალსაზრისით ფაქტობრივად უმოტივაციო მეტოქესთან შანსის ბოლომდე გამოყენებას შეეცდება.

ცოტა რამ სააპრილო მეტოქის სამზადისზეც ვთქვათ. გადაწყვეტილი ამბავია, რუსეთი 25 აპრილს ჩარტერული რეისით გაფრინდება მოსკოვიდან, ოღონდ სად, ეს ჯერჯერობით გასარკვევია. გაზაევს ალბანეთის მსგავსად საქართველოსთან მატჩის წინაც ოთხდღიანი შეკრება სურს და საამისოდ ორ ვარიანტს შორის გააკეთებს არჩევანს. რუსები ან სოჭში დაბანაკდებიან, ანაც კისლოვოდსკში. საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად საფუძველი ჩაყრილია. ნაკრების მენეჯერმა ვიქტორ ვოტოლოვსკიმ და მწვრთნელმა ნიკოლაი ხუდიევმა კისლოვოდსკის საწვრთნელი ბაზა მოინახულეს, გუშინ კი ვოტოლოვსკი სოჭში გაფრინდა, იქაურ პირობებს გაეცნობა, მერე გაზაევთან ერთად მონაცემებს შეაჯერებს და ამის შემდეგ გაირკვევა რუსთა დისლოკაციის ადგილი.

სოჭიდან, ან კისლოვოდსკიდან რუსთა ნაკრები ჩარტერული რეისით 29 აპრილს ეწვევა თბილისს.

**ბაატა ძმანტალიანი**

# მოლდოვამ აფხაზავას ირლანდია და შვეიცარია გადააფიქრებინა

## გოლმოწყურებული ქართველი უეფას და ბომბარდირობას ცალი თვალით უყურებს

*ზედიზედ მეორე ტურია, შალვა აფხაზავა უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. კიევის „არსენალმა“ და მისმა ქართველმა თავდამსხმელმა წარმატებით დაიწყეს სეზონი და ამიტომაც ბევრს არ სჯეროდა პირველ წრეში ალმაფრენით მოთამაშე „არსენალის“ დამუხრუჭება. არადა, ასე მოხდა...*

*პირველ წრეში კიეველთა მთავარი დამრტყმელი ძალა კი სწორედ ახალწვეული შალვა აფხაზავა იყო.*

*საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატმა ორშაბათს უკრაინის ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩში 84-ე წუთზე გაუტანა ხარკოვის „მეტალისტს“ და თავის გუნდს 1:0 მოაგებინა (წინა ტურში ვიაჩესლავ გროზნის შეგირდებმა ჩვენებურის გოლითვე დასცეს „კრივბასი“).*

*ამ სამი ქულით „არსენალმა“ გადაასწრო „დნიპროს“ და კვლავ მესამე ადგილზე მოკალათდა. მესამეზეა ბომბარდირთა დავაში შალვა აფხაზავაც — 18 თამაშში 12 გოლი ურიგო შედეგი არ არის.*

*გუშინ შალვა აფხაზავას კიევში შევეხმიანეთ და კლუბის გარდა საქართველოს ნაკრებზეც დაველაპარაკეთ*

— ახალდაწყებულ მეორე წრეში უკვე მეორე გოლი გაიტანე, თუმც „მეტალისტთან“ მატჩში ძალიან გაგიჭირდათ...

— ანგარიშიდან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ, ვფიქრობ, მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. პირველ ტაიმშიც მქონდა ხელსაყრელი მომენტი და ვერ გამოვიყენე. ამის გარდა ჩვენმა კაპიტანმა პენალტიც გააცუდა.

**— მატჩის მიწურულს კი „არსენალმა“ შენი გოლით მოიგო. როგორ გაიტანე?**

— კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მეკარემ უხერხულად მოიგერია და მეც ლამატებაზე მივუსწარი.

**— მეორე წრეში პირველთან შედარებით საკმაოდ გიჭირთ. რას დააბრალებ ამას?**

— მართალია, ქულების დაგროვება უფრო და უფრო გვიჭირს, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. წრეებსშორის შესვენებისას გუნდიდან რვა ფეხბურთელი გაუშვეს. რამდენიმე ახლაც ტრანსფერზეა. მათ ნაცვლად კი ახალი ფეხბურთელები მოიწვიეს და, ცხადია, შეთამაშება გვაკლია, ამიტომაცაა, კონკურენტები ასე რომ წამოგვეწივნენ.

**— კი, მაგრამ პირველი წრე მესამე ადგილზე ჩაამთავრეთ და უკრაინელმა ჟურნალისტებმა „არსენალი“ სეზონის აღმოჩენადაც მონათლეს. რამ გამოიწვია კლუბის ხელმძღვანელთა ასეთი მოულოდნელი ნაბიჯი?**

— როგორც გაირკვა, ვიაჩესლავ გროზნი მაინც უკმაყოფილო იყო ამ ბიჭების თამაშით. თან მწვრთნელი უფრო ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს. ახლაც გუნდში ძალიან ბევრი ახალბედაა. ფაქტობრივად, გამოუცდელი ფეხბურთელებით თავიდან იწყება გუნდის დაკომპლექტება.

**— როგორ ფიქრობ, ამით „არსენალს“ უეფას თასზე გასვლა არ გაუჭირდება? არადა, საამისოდ კარგი შანსი გქონდათ.**

— უეფას თასის საგზურის მოპოვება, რა თქმა უნდა, გვსურს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, კლუბის ხელმძღვანელობას სეზონის წინ ასეთი რამ ნაღდად არ დაუვალებია ჩვენთვის. უბრალოდ, თამაში წაგვივიდა და ქულებიც ბლომად დავაგროვეთ. ახლა ვეცდებით, მიღწეული შედეგი ქარს არ გავატანოთ. თუ უეფას თასზე ვითამაშებთ, ამას რა აჯობებს. არადა, უკმაყოფილო ალბათ მაინც არავინ დარჩება. გროზნი აქცენტს უფრო მომავალ სეზონზე აკეთებს.

**— ვის მიიჩნევ „არსენალის“ მთავარ კონკურენტებად?**

— „დნიპრო“ და ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგი“ გვეცილებიან უეფას თასის საგზურს და ალბათ ჩემპიონატის ბოლომდეც ასე იქნება. არა მგონია, ამ გუნდებმა უფრო სერიოზულ მიზნებზე დაიწყონ ფიქრი, რადგანაც „დინამოს“ და „შახტარს“ ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება.

**— 18 თამაშში 12 გოლის გატანა შეძელი. ალბათ ბომბარდირობაზეც იფიქრებ...**



შალვა აფხაზავამ უკრაინაში საგოლედ უკვე თორმეტჯერ მოიქნია

— ყოველ თამაშში გოლის გატანას ვცდილობ და როგორ გამომდის, ყველა ხედავს. საერთოდ, ვერ წარმომიდგენია თავდამსხმელი გოლის გარეშე. თავდამსხმელის საქმე ხომ სწორედ ისაა, გოლი გაიტანოს და გუნდს მოაგებინოს. ბომბარდირობაზე კი სულაც არ ვფიქრობ. ვეცდები, ჩემი საქმე ვაკეთო და თუ საუკეთესო გავხდები, ამას რა აჯობებს. ისე, ეს ჩემი თვითმიზანი არ არის.

**— როგორ ფიქრობ, შენს პირველივე უკრაინულ სეზონში ასეთი შედეგი კანონზომიერია?**

— ყველაფერი მონდომების და გონივრული თავდაჯერების წყალობით მოხდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აშკარად გამიმართლა — აქაურ ჩემპიონატს იოლად შევეწყვე. გუნდშიც თავს მშვენივრად ვგრძნობ.

**— საქართველოს ნაკრებზე რას იტყვი? გაიგებდი, ჩივაძე გადადგა და მის ნაცვლად ნაკრები ივო შუშაკს ჩააბარეს.**

— იმედი მაქვს, შუშაკი შეძლებს ქომაგების გახარებას. მგონი, ცუდი მწვრთნელი არ უნდა იყოს.

**— ნაკრებში დებიუტი მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში გქონდა. ხომ არ ელოდი, რომ ირლანდია-შვეიცარიასთანაც მიგიწვევდნენ?**

— არა, ასე ნაღდად არ ვფიქრობდი. მაშინ თავადაც უკმაყოფილო ვიყავი ჩემი თამაშით. უფრო მეტი შემეძლო.

**— ახალი მწვრთნელისთვის თავის მოწონებას შეძლებ?**

— ყოველ შემთხვევაში, ყველანაირად ვეცდები, მოუმზადებელს არც აქ გათამაშებენ. ასე რომ, დანარჩენი უკვე ივო შუშაკის გადასაწყვეტი იქნება.

**კახა შალამბერიძე**

# დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები**

თბილისი. შევარდენი. 10 აპრილი. 16 საათი

## ვიტ ჯორჯია — დინამო

პირველი მატჩი 0:1

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 10 აპრილი. 16 საათი

## მილანი — ლოკომოტივი

პირველი მატჩი 0:0

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** გ. როსტომაშვილი **დისკვალიფიცირებულნი:** მედოევი, ეგაძე (ორივე მილანი)

გორი. ცენტრალური. 10 აპრილი. 16 საათი

## დილა — ტორპედო

პირველი მატჩი 0:1

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე **დისკვალიფიცირებული:** ხვადაგიანი (ტორპედო)

თბილისი. ლოკომოტივის სათადარიგო მოედანი. 10 აპრილი. 16 საათი

## სპარტაკი — სიონი

პირველი მატჩი 0:3

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** გ. ცაავა

# მოქმედება მესამე
## ძველი პერსონაჟები ახალი სახელებით

*დღეს ნავთლუღში კიდევ ერთხელ გაიხსენებენ ბევრისგან უკვე მივიწყებულ „მანწკავას საქმეს", რომელმაც „ვიტ ჯორჯიას" ვერაფერი არგო, ხოლო „დინამოს" ათასლარიანი ჯარიმაღა დაუტოვა. სათასო მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებში სწორედ ამ ორი წყვილის დაპირისპირებას ახლავს ყველაზე მეტი ინტრიგა.*

წლეულს მესამედ დადგებიან ერთმანეთის პირისპირ ივო შუშაკისა და ჯანი კარნევალის შეგირდები. წინა ორი მატჩი, ერთი სათასო და ერთიც საჩემპიონატო, „დინამოს" გამარჯვებით დასრულდა. ათგზის ჩემპიონს სადღეისოდ ერთბურთიანი ფორა დიდ უპირატესობას არ ანიჭებს, მაგრამ პირველი თამაშის შემდეგ ნახევარფინალთან უფრო ახლოს სწორედ რომ „დინამოა".

ივო შუშაკი სანაკრებო ორომტრიალიდან კონკრეტულ თამაშზე გადაერთო. მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელები სრულ მზადყოფნაში არიან. საბოლოოდ გამოკეთდა ლადო ბურდული, მიკროტრავმა მოიშუშა ლადო ახალაიამ. გუშინ ორივემ მთელი დატვირთვით ივარჯიშა.

„დინამოს" რიგებში მატებაცაა. კლუბმა ხორვატი მწვრთნელისგან მოწონებული ლაშა ჯაკობია განაცხადში შეიყვანა და არც ის არის გამორიცხული, დღესვე ათამაშოს.

რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას", გუნდში ერთადერთი ტრავმირებული გიორგი ყიფიანია, რომელიც მტკივან მუხლს ინტენსიურად მკურნალობს. ორი დღეა, კარნევალიმ შეგირდები შეკრებაზე გადაიყვანა და დაძაბული მატჩისთვის ამზადებს.

რაც შეეხება თავშივე ნახსენებ გიორგი მანწკავას, სავარაუდოდ, ის საამმატჩო განაცხადში ვერ მოხვდება და „დინამოსაც" აღარ ექნება ორგანიზაციული პრობლემები.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*** ჩვენ მოსაგებად და ნახევარფინალში გასასვლელად ვიბრძოლებთ. „დინამო" ძლიერია, თუმც ორი მატჩის ჯამში „ვიტ ჯორჯიას" მისი დამარცხება შეუძლია. ჩემი გუნდი შეუტევს და ეცდება, მეტოქეს თავისი თამაში მოახვიოს თავს, თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი ბიჭები თავქუდმოგლეჯილები გაიქცევიან წინ და სტუმრებს საგოლე კონტრიერიშების შანსებს უბოძებენ. ფაქტია, სიფრთხილე გვმართებს, ამავდროულად შეტევისას აგრესიულებიც უნდა ვიყოთ.

***ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:*** სერიოზული მეტოქე გვყავს და რთული მატჩიც გველის. მართალია, „დინამომ" „ვიტ ჯორჯიას" ზედიზედ ორი თამაში მოუგო, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. მიზნის მისაღწევად მხოლოდ ნახევარი გზა გავიარეთ. თუ მაქსიმალური ყურადღებით არ გავალთ სათამაშოდ, შეიძლება, ყველაფერი უკუღმა დაგვიტრიალდეს.

გუნდში ყველა ჯანმრთელადაა და ის ითამაშებს, ვინც ასპროცენტიან მზადყოფნაში იქნება. ძირითად თერთმეტეულს კი დღეს გამოვაცხადებ.

ჩემპიონი „ტორპედოც" ერთბურთიანი უპირატესობით ესტუმრება გორის „დილას". ალექსანდრ შტელინი დისკვალიფიცირებულ მცველ ხვადაგიანს მოისაკლისებს. არ ითამაშებს წარმოშობით გორელი, ტორპედოელი რომან ახალკაცი, ვისაც მუხლის ტრავმა ჯერაც ვერ მოურჩენია. საეჭვოა ბოლნისში წარბგახეთქილი უკანახაზელის, ლაშა ჭელიძის თამაშიც. ალბათ ამიტომაცაა, რომ რიონისპირელთა თავკაცი სიფრთხილეს იჩენს და სანახევარფინალო შანსებს თანაბრად აფასებს.

„ლოკომოტივმა" შინ ვერაფერი ვერ მოუხერხა ქიზიყელთა სიამაყეს და „მილანსაც" თვალი ნახევარფინალისკენ გაექცა, თუმც კახელებს რკინიგზელთა გამწარება გაუჭირდებათ. ჯერ ერთი, „ლოკომოტივმა" ზედიზედ ორი თამაში წააგო და ხელმძღვანელებისგანაც გვარიანად მოხვდა. ესეც რომ არ იყოს, „მილანს" დისკვალიფიცირებული მედოევი და ეგაძე არ ეყოლება, თანაც ვერც ყოფილი ბოლნისელები — სიდამონიძე, გოდერძიშვილი და ჩხაიძე შეიმატეს, რომელთა საქმის მოგვარებასაც არ დაადგა საშველი. მიუხედავად ამისა, გურჯაანში მაინც საინტერესო თამაში იქნება.

ერთადერთი გუნდი, რომელიც თითქმის ნახევარფინალშია, „სიონი" გახლავთ. ბოლნისელებმა პირველ თამაშში 3:0 მოუგეს პირველლიგელ „სპარტაკს" და ჩემპიონ-ვიცე-ჩემპიონის დამჩოქებელი მახარაძის გუნდი ასეთი უპირატესობის გამფლანგველი რომ არ არის, ფაქტია.

**მამუკა ძგანტალიანი**

# შტელინი შუშაკს წარმატებას უსურვებს და იწვევს
## დინამოს გაძლიერებას ვერ ვატყობ

*საქართველოს სამგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" ალექსანდრ შტელინის ხელმძღვანელობით ჯერ არაფერი მოუგია — უკრაინელი მწვრთნელი „ტორპედოსთვის" ჩემპიონობის შენარჩუნებას ეშურება — რიონისპირელები ახლა მესამე ადგილზე არიან და ლიდერ „დინამოს" ორი ქულით ჩამორჩებიან. რას ფიქრობს ალექსანდრ შტელინი თავის გუნდზე და მეტოქეებზე, ამას მასთან ინტერვიუში წაიკითხავთ*



ალექსანდრ შტელინი და ივო შუშაკი — ძმობა თამაშამდე და თამაშის შემდეგ

**— „ტორპედომ" ჩემპიონატის მეორე ეტაპი რიხით დაიწყო — შინ „დინამოს" მოუგო, თუმც მერე ფრედ ითამაშა „კოლხეთთან" და წააგო „სიონთან" — რა არის ჩავარდნის მიზეზი?**

— ეს მთელი რიგი ფაქტორებითაა გამოწვეული. გუნდში ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავს — მათ უჭირთ თამაშიდან თამაშზე გადაწყობა. ამას დავუმატოთ ცუდი მოედნებიც — „კოლხეთის" წყალტუბოში მძიმე, ცუდ მინდორზე ვუმასპინძლეთ. ბოლნისური მარცხის ძირითადი მიზეზი კი ჩვენი თვითდაჯერებულობა გახლდათ და კიდევ ის, რომ ერთ მუშტად შეკრულ გუნდს არ ვგავდით.

**— „ტორპედოდან" გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე და მალხაზ ასათიანი რომ წავიდნენ, ამ დანაკლისის ნაწილობრივი აღმოფხვრა ჯერაც შეუძლებელია?**

— როცა საქართველოს ჩემპიონატის ასეთი ძლიერი ფეხბურთელები გუნდიდან მიდიან, უცბად შეუძლებელია დანაკარგი შეავსო ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრებით — ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობების ერთ-ერთი მიზეზიც ესეცაა.

**— „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივი" — საჩემპიონო რბოლაში ისინი „ტორპედოს" კონკურენტები არიან — როგორ ფიქრობთ, ზამთრის შესვენების შემდეგ ამ გუნდებმა მოუმატეს თამაშს?**

— ამ სამი გუნდიდან ზამთრის შესვენების შემდეგ მხოლოდ „დინამო" ვნახე საქმეში და ვერ ვიტყვი, რომ შუშაკის გუნდი უფრო ძლიერად თამაშობს.

**— „დინამოს" მწვრთნელ ივო შუშაკს საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩააბარეს — თქვენთვის და თქვენი გუნდისთვის ეს კიდევ ერთი, თავისებური გამოწვევაა?**

— ჩვენთვის ეს არაფერს არ ცვლის, სტრატეგიულად ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს. თუ შუშაკს თავის კონცეფცია აქვს კლუბისთვისაც და ნაკრებისთვისაც და თუ მათ შევადარებთ, ეს მართლაც საინტერესო იქნება. შუშაკს გულწრფელად ვუსურვებ წარმატებებს ახალ საქმეში.

**— „ტორპედოზე" გკითხავთ — შოთა ბაბუნაშვილმა პირველ ეტაპზე კარგად წარმოაჩინა თავი, ახლა კი პროგრესის მას არაფერი ეტყობა...**

— ის ჯერაც ტრავმირებულია. ბაბუნაშვილი ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაშავდა და სრულად ვერ გამოჯანმრთელდა. ამის გამო ვერც მოსამზადებელი ეტაპი გაიარა სრულფასოვნად. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც სასარგებლოა გუნდისთვის. მის მიმართ პრეტენზიები არა მაქვს, თუმც ფორმა მალე უნდა აღიდგინოს.

**— დავით გამეზარდაშვილზე რას იტყვით — მან ახალგაზრდულ ნაკრებში შვეიცარიის წინააღმდეგაც ითამაშა...**

— გამეზარდაშვილი უნივერსალური ფეხბურთელია — ხან ცენტრფორვარდად ვიყენებთ, ხან მცველად, შუახაზშიც შეუძლია გარჯა. კარგად თამაშობს თავით. ერთი სიტყვით, ამ ფეხბურთელს კარგი პერსპექტივა აქვს.



დავით გამეზარდაშვილი „დინამოს" კარში გატანილი გოლით ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა

**— „ტორპედოს" ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება მოსალოდნელია?**

— მოსალოდნელი როგორ არ არის, მაგრამ ახლა, სეზონის დასრულებამდე ეს ძალიან ძნელია. მოგეხსენებათ, ვაპირებდი სანგარესა და ამაევის ჩამოყვანას, მაგრამ ეს არ მოხერხდა. როცა ერთი მილიონი ან მილიონნახევარი ხელში გიჭირავს, ადვილია კარგი ფეხბურთელები დაიმატო, მაგრამ ჩვენ შეზღუდულები ვართ — ისეთ ფეხბურთელებს ვეძებთ, რომლებშიც დიდი ფული არაა გადასახდელი და ეს საქმეს გვირთულებს.

**— „ტორპედოს" ზაზა ზირაქიშვილი დაუბრუნდა — როდის შეძლებს ის თამაშს?**

— ზირაქიშვილი საკუთარ თავზე ახლა კარგად მუშაობს და სავსებით შესაძლებელია, ახლავე გორის „დილასთან" ვათამაშოთ რამდენიმე წუთით.

**— თანამედროვე ფეხბურთში არცთუ იშვიათად ხდება, რომ მწირბიუჯეტიანი გუნდი მასზე ბევრად შეძლებულ მეტოქეს ამარცხებს. საქართველოს ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის და საფეხბურთო მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე ასეთი რამ შესაძლებელია?**

— ვფიქრობ, შესაძლებელია. თანაც აქაურ კლუბებში ფინანსურად ძალიან დიდი სხვაობა არ არის. ბიუჯეტი ერთია, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მუშაობს ამა თუ იმ ბიუჯეტის მქონე კლუბი და გუნდი — ფული გუნდის წარმატების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ევ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ევ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ევ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ევ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ევ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ევ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ევ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ევ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ევ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ევ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ევ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ევ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ევ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ევ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ევ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ევ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ევ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ევ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ევ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ევ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ევ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ევ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ევ | შვეიცარია | 0:0 | |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 62 |
| გოჩა ჯამარაული | 55 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| გიორგი ქინქლაძე | 49 |
| შოთა არველაძე | 45 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| ლევან კობიაშვილი | 42 |
| კახა კალაძე | 33 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| მურთაზ შელია | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| დავით გვარამაძე | 26 |
| ლევან ცქიტიშვილი | 25 |
| გიორგი დემეტრაძე | 24 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| გივი დიდავა | 18 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 18 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 16 |
| რატი ალექსიძე | 15 |
| გიორგი გახოკიძე | 15 |
| აკაკი დევაძე | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | 15 |
| რევაზ ქემოკლიძე | 14 |

## გოლები

| | |
|---|---|
| თემურ ქეცბაია | 16 |
| შოთა არველაძე | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | 6 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | 4 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მიხეილ აშვეთია | 3 |
| ლევან კობიაშვილი | 3 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 6 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | დინამო | 15 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო | 5 | – |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | კიოლნი (გერმანია) | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 45 | 16 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 2 | – |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | მილანი | 1 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 10 | 3 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | აინტრახტი (ვირგესი, გერმანია) | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | დინამო | 7 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | სიონი | 1 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 15 | 2 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | დინამო | 26 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | მერანი-ოლიმპი | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | დინამო | 2 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | ჟემჩუჟინა (სოჭი, რუსეთი) | 8 | 2 |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | უგუნდო | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | ტორპედო | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | ცაფრირიმი (ჰოლონი, ისრაელი) | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | დინამო | 3 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | უგუნდო | 15 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 24 | 4 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 18 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | დინამო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ტორპედო | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 15 | 6 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ტორპედო | 3 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 33 | – |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | ნ | 11/05/79 | ლოკომოტივი | 3 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ტორპედო | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | დინამო | 1 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | უგუნდო | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | უგუნდო | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10/07/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 42 | 3 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ლოკომოტივი | 7 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 11 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ორფეასი (საბერძნეთი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 2 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დანდი (შოტლანდია) | 62 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | კოოტეეპეე (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | ვიტ ჯორჯია | 1 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ტორპედო-მეტალურგი (რუსეთი) | 16 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | დინამო | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 9 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | მილანი | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | რუბინი (რუსეთი) | 21 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | კრისტალი (რუსეთი) | 10 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | პრიკარპატია (უკრაინა) | 11 | – |
| თემურ | ტულუში | თ | 24/02/72 | კოლხეთი | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | კრივბასი (უკრაინა) | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | უგუნდო | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 14 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 49 | 8 |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ლუცერნი (შვეიცარია) | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 7 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში მიატოვა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | რუზელარე (ბელგია) | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | რუბინი (რუსეთი) | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | მილანი | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | დებრეცენი (უნგრეთი) | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 25 | 1 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | ანჟი (რუსეთი) | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | ლოკომოტივი | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | ნეა სალამინა (კვიპროსი) | 9 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | უგუნდო | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ტორპედო | 2 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით | ჭიჭველიშვილი | ნ | 23/01/75 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ტორპედო | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | დანდი (შოტლანდია) | 19 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | დინამო | 4 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | როსტოვი (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | სიონი | 2 | – |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 55 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | უგუნდო | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ბალტიკა (რუსეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ამიცა (ვრონკი, პოლონეთი) | 2 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | სტროიტელი (უფა, რუსეთი) | 2 | – |

სულ: 119 მოთამაშე

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 002 | არმინია-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ვერდერი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 004 | ბაიერნი-ვერდერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 005 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-ბოხუმი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 007 | ჰერტა-ბოხუმი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 008 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 009 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 010 | შალკე-კოტბუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 011 | შალკე-კოტბუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 012 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 013 | ალემანია-ბრაუნშვაიგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 014 | ბურგჰაუზენი-ვალდჰოფი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 22.00 | 015 | კარლსრუე-მაინცი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 016 | დუისბურგი-უნიონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.00 | 017 | აინტრახტი-ლიუბეკი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 018 | აინტრახტი-ლიუბეკი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 019 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 020 | ფრაიბურგი-ზტ.პაული 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.00 | 021 | ფიურტი-როიტლინგენი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 022 | ალენი-ტრიერი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 023 | კიოლნი-ობერჰაუზენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 024 | კიოლნი-ობერჰაუზენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 026 | კილი-ესენი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 027 | ურდინგენი-ვერდერი(მ) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 028 | დორტმუნდი(მ)-მიუნსტერი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 17.00 | 029 | აუე-ქემნიცი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 17.00 | 030 | პადერბორნი-კიოლნი(მ) | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.00 | 031 | ლევერკუზენი(მ)-დინამო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 17.00 | 032 | ოსნაბრიუკი-ბაბელსბერგი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 033 | ჰამბურგი(მ)-ვერლი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 034 | ელვერსბერგი-შვაინფურტი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.30 | 035 | კიკერსი-ერფურტი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 036 | აინტრახტი(მ)-ფულენდორფი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 17.30 | 037 | რეგენსბურგი-ოფენბახი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.30 | 038 | დარმშტადი-აუგსბურგი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 17.30 | 039 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 040 | ზიგენი-ზაარბრიუკენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 041 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ვეენი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 042 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 19.00 | 043 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 044 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 045 | ჩელსი-ბოლტონი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 046 | ჩელსი-ბოლტონი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 047 | ლიდსი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 048 | ლივერპული-ფულემი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 049 | ლივერპული-ფულემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 050 | სიტი-მიდლსბრო | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 051 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 19.00 | 052 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |

### იტალია. სერია "A". XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 105 | კომო-პერუჯა | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.30 | 106 | ინტერი-მილანი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 107 | ატალანტა-რეჯინა | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 108 | ემპოლი-კიევო | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 18.00 | 109 | მოდენა-ლაციო | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 18.00 | 110 | რომა-პარმა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.00 | 111 | ტორინო-პიაჩენცა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 18.00 | 112 | უდინეზე-ბრეშა | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 113 | ბოლონია-იუვენტუსი | 3,6 | 3,0 | 2,05 | 1,63 | 1,3 | 1,21 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 151 | სევილია-ვილიარეალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 00.30 | 152 | ბარსელონა-დეპორტივო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 153 | უელვა-ალავესი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 154 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 155 | მალიორკა-რასინგი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 21.00 | 156 | სელტა-ბეტისი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 157 | რაიო-ბილბაო | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 21.00 | 158 | სოსიედადი-რეალი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 21.00 | 159 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.30 | 160 | ვალენსია-ოსასუნა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 161 | ტერასა-ოვიედო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 21.30 | 162 | ელჩე-ტენერიფე | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 23.30 | 163 | ლას პალმასი-ეხიდო | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 164 | სერესი-მურსია | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 15.00 | 165 | ლეგანესი-კორდობა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 21.00 | 166 | ალბასეტე-სალამანკა | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 21.00 | 167 | ბადახოსი-კომპოსტელა | 2,2 | 2,8 | 3,5 | 1,23 | 1,35 | 1,55 |
| 21.00 | 168 | ეიბარი-ხეტაფე | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 21.00 | 169 | სპორტინგი-ლევანტე | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| 21.00 | 170 | ალმერია-სარაგოსა | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 21.00 | 171 | ნუმანსია-ფეროლი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 173 | ბორდო-ლიონი | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 174 | ტრუა-მარსელი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 175 | ნიცა-ოსერი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 23.00 | 176 | გენგამი-ბასტია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 177 | პსჟ-ლანსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 178 | აიაჩო-მონაკო | 3,0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1,33 | 1,31 |
| 23.00 | 179 | სტრასბური-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 180 | ლე ავრი-რენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 181 | ლილი-სედანი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 182 | მონპელიე-სოშო | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 183 | ნანსი-ისტრი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 184 | ამიენი-გენიონი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 185 | ბოვე-ლე მანი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.00 | 186 | კაენი-ვასკეალი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 187 | კლერმონი-ტულუზა | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 188 | კრეტეი-სტ.ეტიენი | 2,15 | 2,7 | 3,8 | 1,19 | 1,37 | 1,57 |
| 23.00 | 189 | გრენობლი-რეიმსი | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 23.00 | 190 | ვალანსი-ნიორი | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.00 | 191 | შატორუ-მეცი | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,52 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 192 | ლავალი-ლორიანი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 193 | უტრეხტი-ტილბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 194 | როდა-პსვ | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 195 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 196 | ფეიენოორდი-ვიტესი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 197 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1,85 | 3,3 | 4,0 | 1,18 | 1,26 | 1,8 |
| 23.00 | 198 | ალკმაარი-ზვოლე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.00 | 199 | ტვენტე-გრააფსხაპი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 200 | ბრედა-აიაქსი | 3,5 | 3,3 | 1.95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 17.30 | 201 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1.16 | 1.24 | 1,8 |
| 17.30 | 202 | ვალვაიკი-როზენდალი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2.32 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVII ტური.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 203 | ჰაარლემი-ვენლო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1.24 | 1.8 |
| 23.00 | 204 | კამბური-ტელსტარი | 1,75 | 3,4 | 4.2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 205 | ემენი-სპარტა | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.00 | 206 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2.32 |
| 23.00 | 207 | იგლსი-დორდრეხტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 208 | იგლსი-დორდრეხტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2.6 | | | |
| 23.00 | 209 | ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1.2 | 2.46 |
| | 210 | ჰელმონდი-მაასტრიხტი 0:1 | 2.05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 211 | ოსი-დენ ჰააგი | 4,2 | 3,6 | 1.7 | 1,93 | 1.21 | 1,15 |
| 23.00 | 212 | ჰერაკლესი-სპარტა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 213 | ვეენდამი-დენ ბოსხი | 2.7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 214 | სტ.ტრუიდენი-ლუვიერი | 1,55 | 3,6 | 5.6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.30 | 215 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 216 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 23.30 | 217 | ბეერსხოტი-გენკი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 218 | მეხელენი-ლიერსი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 219 | შარლერუა-გენტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.00 | 220 | მუსკრონი-ანტვერპენი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1.16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 221 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,6 | 3,5 | 5.3 | 1,09 | 1.22 | 2.1 |

### ბელგია. II დივიზიონი. XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 222 | ჰეუსდენი-გეელი | 1.8 | 3,0 | 4.6 | 1.12 | 1,29 | 1.81 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 223 | ვირტონი-ლიეჟი | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| 23.00 | 224 | პატრო-რონსე | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 23.00 | 225 | დაინცე-დენდერლეუ | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1.58 |
| 23.00 | 226 | რუზელარე-ეუპენი | 3.0 | 3,0 | 2,35 | 1.5 | 1,31 | 1,31 |
| 23.00 | 227 | სტრომბეკი-ვარეგემი | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1.26 | 1,32 | 1,57 |
| 23.00 | 228 | სერკლი-ტინენი | 1,4 | 3,8 | 8.0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 229 | სერკლი-ტინენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 230 | ვიზეტი-ინგელმუნსტერი | 1,75 | 3.0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 18.00 | 231 | ვაგორი-დესელი | 1.8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |

### საბერძნეთი. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 232 | პაოკ-არისი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1.88 |
| 20.00 | 233 | აეკ-ირაკლისი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1.02 | 1,15 | 2,75 |
| | 234 | აეკ-ირაკლისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2.7 | | | |
| 20.00 | 235 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1.25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 236 | პანათინაიკოსი-ქსანთი 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 20.00 | 237 | პროოდევტიკი-იონიკოსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 238 | იანინა-კალითეა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 20.00 | 239 | ეგალეო-ოფი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 240 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |

### ჩეხეთი. XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 241 | სპარტა-სლავია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1.25 | 1.29 | 1,62 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 242 | ბოჰემიანსი-ბლშანი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1.24 | 1.72 |
| 19.30 | 243 | იაბლონეცი-ჰ.კრალოვე | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1.22 | 2,1 |
| 19.30 | 244 | სიგმა-ზლინი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.30 | 245 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.30 | 246 | ტეპლიცე-ბრნო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.30 | 247 | სინოტი-ბანიკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 248 | პრჟიბრამი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

### თურქეთი. XXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 267 | გალათასარაი-ალთაი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 268 | გალათასარაი-ალთაი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 269 | [illegible] | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1.6 |
| 18.30 | 270 | გაზიანთეპი-ბურსა | 1.45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1.18 | 2,47 |
| 18.30 | 271 | დენიზლი-სამსუნი | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 272 | მალათია-ბეშიქთაში | 3,4 | 3,2 | 1.95 | 1,64 | 1,23 | 1.21 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 273 | ანკარაგუჯუ-ქოჯაელი | 1,5 | 3.8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2.15 |
| 16.30 | 274 | [illegible] | 1.95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 16.30 | 275 | ტრაბზონი-ისთანბულსპორი | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.00 | 276 | [illegible]-გენჩლერბირლიღი | 2,2 | 3,2 | 3.1 | 1.3 | 1,28 | 1,57 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა. XXXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 277 | აბერდინი-დანფერმლაინი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1.54 |
| 19.00 | 278 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 1,55 | 3,6 | 5.6 | 1.08 | 1,21 | 2.19 |
| 19.00 | 279 | მაზერველი-დანდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 280 | პარტიკი-ჰარტსი | 2.5 | 3,2 | 2.5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 281 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.2 | 5,3 | 12.5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 282 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 19.00 | 283 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 11,0 | 5.6 | 1.25 | 3,71 | 1,12 | 1,02 |

**დანია. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 306 | ოდენსე-ბრონდბი | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 307 | ვაილე-სილკებორგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 308 | ოლბორგი-ფარუმი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 309 | აკადემისკი-კოგე | 1.95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.00 | 310 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2.4 | 3,3 | 2,6 | 1.38 | 1,24 | 1.45 |
| 20.35 | 311 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2.09 |

**ავსტრია**
**XXVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 312 | ბრეგენცი-კერნტენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1.67 |
| 18.30 | 313 | პაშინგი-გრაცერი | 2,3 | 3.1 | 3.0 | 1,32 | 1.3 | 1.52 |
| 18.30 | 314 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.75 | 3,2 | 4,6 | 1.13 | 1,26 | 1,88 |
| 18.30 | 315 | შტურმი-რიდი | 1.55 | 3,6 | 5.6 | 1,08 | 1,21 | 2.19 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 316 | ადმირა-ავსტრია | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 317 | ბაზელი-ვილი | 1.3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1,13 | 3.04 |
| | 318 | ბაზელი-ვილი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3.0 | | | |
| 22.30 | 319 | ქსამაქსი-თუნი | 1.7 | 3.4 | 4,6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 320 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1,15 | 2,75 |
| | 321 | გრასჰოპერი-სერვეტი 0:1 | 1.9 | 3.2 | 2.7 | | | |
| 19.15 | 322 | იანგ ბოისი-ციურიხი | 1.8 | 3,2 | 4.2 | 1,15 | 1.25 | 1,81 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 323 | სენ-გალენი-დელემონი | 1,85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 20.30 | 324 | აარაუ-კრიენსი | 1,7 | 3,4 | 4.6 | 1,13 | 1.24 | 1,95 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 325 | სიონი-ვადუცი | 1.95 | 3.3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 326 | ლოზანა-ბადენი | 2,0 | 3.2 | 3.5 | 1,23 | 1.27 | 1.67 |
| 20.30 | 327 | ვილენი-შაფჰაუზენი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 20.30 | 328 | ვინტერთური-კონკორდია | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 22.30 | 329 | ბელინცონა-ივერდონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

**ნორვეგია. I ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 351 | როზენბორგი-ვოლერენგა | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| | 352 | როზენბორგი-ვოლერენგა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 353 | ალესუნდი-ტრომსო | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 21.00 | 354 | ვიკინგი-ბრინი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 355 | სოგნდალი-სტაბეკი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 356 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 357 | ლილესტრიომი-ბოდოი გლიმტი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 358 | ლინი-ბრანი | 1,8 | 3.6 | 3.5 | 1,19 | 1,18 | 1,77 |

**ინგლისი. თასი.**
**½ ფინალი (ნეიტრალურზე)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 359 | არსენალი-შეფილდი | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2.75 |
| 20.30 | 360 | უოტფორდი-საუთჰემპტონი | 5.0 | 3,4 | 1.65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |

**პორტუგალია. თასი. ½ ფინალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 361 | ლეირია-ფერეირა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 362 | პორტუ-ნავალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |

**ჩეხეთი. თასი. 1/8 ფინალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 370 | ხომუტოვი-ჟიჟკოვი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1.2 | 1,07 |
| 19.30 | 371 | ტეპლიცე-სიგმა | 1,65 | 3.5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**უეფას თასი. ½ ფინალი. I ეტაპი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 00.05 | 388 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 01.00 | 389 | პორტუ-ლაციო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |

**ლიბერტადორესის თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 02.05 | 397 | ბოლივარი-გრემიო | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 02.05 | 398 | უნამ-პენიაროლი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 05.05 | 399 | ბარსელონა-ბოკა ხუნიორსი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 05.05 | 400 | ინდეპენდიენტე-კოლო კოლო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

**ჰოკეი. გერმანია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 609 | კიოლნი-კრეფელდი | 1.65 | 4,2 | 3,5 | 1,18 | 1,12 | 1.9 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 631 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,3 | 3,2 | 2,6 | 1,33 | 1,22 | 1,43 |
| 04.00 | 632 | დეტროიტი-ანაჰაიმი | 1,55 | 3,8 | 4,6 | 1,1 | 1,15 | 2,08 |
| 06.00 | 633 | კოლორადო-მინესოტა | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,17 | 1,98 |
| 07.30 | 634 | ვანკუვერი-სტ.ლუისი | 2,1 | 3,3 | 2,9 | 1,28 | 1,21 | 1,54 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 680 | მაკაბი-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 23.00 | 681 | ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 23.30 | 682 | ოლიმპია-ვალენსია | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | | | | |
| 00.05 | 2105 | სელტიკი-ბოავიშტა | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 01.00 | 2106 | პორტუ-ლაციო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 00.05 | 205 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | [illegible] | 1,83 |
| 01.00 | 2006 | პორტუ-ლაციო | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | |
| 00.05 | 2305 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,75 | 1,85 |
| 01.00 | 2306 | პორტუ-ლაციო | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | |
| 00.05 | 2205 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,65 | 1,95 |
| 01.00 | 2206 | პორტუ-ლაციო | 1,7 | 1,9 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| | **10 აპრილი** | | |
| 00.05 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,3 | 2,8 |
| 01.00 | პორტუ-ლაციო | 2,4 | 1,4 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| | **10 აპრილი** | | |
| 04.00 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 1,9 | 1,7 |
| 04.00 | დეტროიტი-ანაჰაიმი | 1,1 | 5,0 |
| 06.00 | კოლორადო-მინესოტა | 1,2 | 3,5 |
| 07.30 | ვანკუვერი-სტ.ლუისი | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | | |
| 00.05 | 2505 | სელტიკი-ბოავიშტა | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 01.00 | 2506 | პორტუ-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 აპრილი** | | |
| 00.05 | 2405 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,35 | 3,2 |
| 01.00 | 2406 | პორტუ-ლაციო | 1,85 | 1,95 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი

ბიუროში უქმეებზე სამუშაო დრო გახანგრძლივდა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30


# ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**10 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 2,0 |
| 025 | სელტიკი | 2,5 |
| 024 | პორტუ | 4,2 |
| 034 | ბოავიშტა | 7,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,5 |
| 052 | მანჩესტერი | 2,0 |
| 055 | ნიუკასლი | 12,0 |

**იტალია. სერია A**
**12 აპრილი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,3 |
| 062 | ინტერი | 3,0 |
| 061 | მილანი | 3,5 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**
**12 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,05 |
| 072 | სოსიედადი | 4,0 |
| 074 | დეპორტივო | 4,0 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი**
**11 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,1 |
| 081 | მარსელი | 2,7 |
| 083 | მონაკო | 2,7 |
| 089 | ბორდო | 3,0 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 15,0 |
| 084 | ოსერი | 15,0 |
| 086 | ნიცა | 30,0 |

**საბერძნეთი**
**I დივიზიონი**
**12 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**12 აპრილი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,3 |
| 192 | სლავია | 2,6 |

**თურქეთი. I ლიგა**
**11 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 | გალათასარაი | 2,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (19.00)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,2 |
| 142 | სელტიკი | 3,3 |

**დანია. სუპერლიგა**
**12 აპრილი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,15 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,4 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**12 აპრილი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,2 |
| 161 | ბაზელი | 3,3 |

**კალათბურთი NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 4.4 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 | ინდიანა | 12,0 |
| 241 | დეტროიტი | 12,0 |
| 242 | პორტლენდი | 12,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 244 | მინესოტა | 25,0 |
| 238 | ბოსტონი | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 40,0 |
| 246 | ფინიქსი | 50,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შაკმა დალასელების თავზე და ნამუსზე გაიარა



AP მაიამი

ტორონტოელებს ვლადიმერ სტეფანია კედლად დახვდა

8 აპრილი

**მაიამი 89:83 ტორონტო**

**მაიამი:** კარტერი (7), რ. ბატლერი (11), კ. ბატლერი (12), ალენი (8), გრანტი (16); ელისი (10), ბესტი (6), ჯეიმსი (3), ლემპლი (9), სტეფანია (16 წუთი, 6 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 1 ჩაჭრა), ჯონსონი (1)

**ტორონტო:** ა. უილიამსი (16), პეტერსონი (9), ჯეფერსი (15), ბრედლი (8), მაკკოი (13); ჯ. უილიამსი (13), ალსტონი (3), ნდგნაიე (4), ბასტონი (2)

**დენვერი 78:98 ფინიქსი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (1), იარბრო (7), ვაიტი (11), ჰოვარდი (15), ილარიო (14); ბრაუნი (8), უილიამსი (4), ჰარვი (12), ანდერსენი (2), ცქიტიშვილი (11 წუთი, 0 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), ტრეპაგნერი (4)

**ფინიქსი:** მარბერი (16), ჰარდევეი (5), მარიონი (27), სტუდემაიერი (3), ცაკალიდისი (9); ჯონსონი (23), აუტლოო (2), ვოსკული (10), ჯეკობსენი (3)

**კლივლენდი 91:100 ვაშინგტონი**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (23)

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (26 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი 108:99 დალასი**

**ლეიკერსი:** ჯორჯი (21)

**დალასი:** ლაფრენცი (26)

**მემფისი 111:108 კლიპერსი**

**მემფისი:** გასოლი (25)

**კლიპერსი:** მეჯიტი (22)

**ჰიუსტონი 66:81 პორტლენდი**

**ჰიუსტონი:** პოუზი (15)

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (21)

**საკრამენტო 107:85 სიეტლი**

**საკრამენტო:** ვებერი (20)

**სიეტლი:** ალენი (22)

**ფილადელფია 91:74 დეტროიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (37)

**დეტროიტი:** რობინსონი (16)

**ნიუ იორკი 99:95 ატლანტა**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (29)

**ატლანტა:** ტერი (27)

**ჩიკაგო 115:103 ინდიანა**

**ჩიკაგო:** კროუფორდი (33)

**ინდიანა:** ონილი (38)

**გოლდენ სტეიტი 128:102 იუტა**

**გოლდენ სტეიტი:** არენასი (34)

**იუტა:** მელოუნი (17)

ერთ კვირაც და, რეგულარულ ჩემპიონატთან ერთად მაჩანჩალა „დენვერის" წვალებაც დასრულდება. დენვერელთა თქმით, ეს წვალება კი არა, სწავლებაა. ისინი არც მალავენ, რომ შედეგები არაფრად ულირთ, ახალგაზრდებისგან ვარსკვლავებს ვზრდით, რომლებზეც ჩვენი გუნდის ბედნიერ მომავალს დავაფუძნებთო. სანამ „ნაგიტსი" აშენდებოდეს, ყველასთან აგებს და მის ახალგაზრდებსაც კოჭებში ჯერ რაღაც არ ეტყობათ ვარსკვლავობა.

ჯეფ ბზდელიკის ახალგაზრდული გუნდი ამჯერად „ფინიქს სანსმა" შეარცხვინა, რომელსაც ამარე სტუდემაიერის სახით მართლაც რომ მოეძევება ვარსკვლავობისკენ რიხით მქროლი ახალგაზრდა. მართალია, სტუდემაიერმა დენვერლებთან ისე ვერ იყოჩაღა, როგორც სჩვევია, მაგრამ „მზეებმა" მაინც იოლად იმარჯვეს და პლეი ოფს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ.

„ჩვენ ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვით და შესაძლებლობების მაქსიმუმს ვდებთ მოედანზე" — ჯეფ ბზდელიკს დაზეპირებული აქვს ასეთი სიტყვები და აკი „ფინიქსთან" მატჩის შემდეგაც გაიმეორა. მაგრამ ბრძოლა ერთია და მოგება — მეორე. საბოლოო წარმატებისთვის სათამაშო კლასია საჭირო, რომელიც ბზდელიკის შეგირდებს მთელ ლიგაში ალბათ, ყველაზე ნაკლები დოზით მოეძევებათ და შესაბამისად ყველაზე მეტ შეცდომებს ისინი უშვებენ, ყველაზე ნაკლებ ბურთს ისინი ესვრიან და. ანტირეკორდებზეც მონოპოლია ეკუთვნით.

ახლაც დენვერელებმა რომელიღაც სამარცხვინო ანტირეკორდი დაამხეს — ერთ მეოთხედში თამაშიდან ჩაგდებული სამი ბურთი მართლაც სავალალო შედეგია. „დენვერმა" ეს მეორე თორმეტწუთეულში „მოახერხა" და, რა გასაკვირია, წასაგებად იმთავითვე გაიწირა.

„ნაგიტსის" იმედმა ნენე ილარიომ 14 ქულა კი გააკეთა, მაგრამ მის მოგროვებას საკმაოდ ბევრი სროლა დაახარჯა და მოედანი ჩაგდებულ ბურთების ყველაზე დაბალი პირადული პროცენტული (32) მაჩვენებლით დატოვა. დენვერელთა ქართველმა იმედმა კი მთლად ვერ ივარგა, ცქიტიშვილმა 11 წუთი დაჰყო მოედანზე და ფარისკენ მხოლოდ 2-ჯერ, ისიც არაზუსტად ისროლა.

თუ ნიკა ცქიტიშვილი და მისი „დენვერი" უსახელოდ ასრულებენ სეზონს, მაიამელ ვლადიმერ სტეფანიას კეთილად მოსაგონარი ბევრი რამ მიჰყვება. მართალია, პატ რაილისა და ჯეფ ბზდელიკის გუნდებს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება, არცერთს ულხინს, მაგრამ მაიამელებს უფრო ყინჩად უჭირავთ თავი და სხვა თუ არაფერი, ამბიციურნი არიან, წაგება რცხვენიათ.

ეს გასაგებიცაა, სადაც დიდი პატია მწვრთნელი, ის გუნდი არ შეიძლება, უამბიციო იყოს. მაგრამ მაიამელთა მოკრძალებული შესაძლებლობები ვერანაირად ვერ გასწვდება რაილის მოჭარბებულ მოთხოვნილებებს და „ჰითიც" რიგით უსახურ გუნდად დაასრულებს სეზონს.

სხვების რა მოგახსენოთ და მაიმელი ბრაიან გრანტი და ვლადიმერ სტეფანია ალბათ ყველაზე კარგ ხასიათზე წავლენ შვებულებაში. ცხადია, არაფერს ვამბობთ მაიამელთა ახალბედა კერონ ბატლერზე, რომლის ნიჭისა და გაქანების გათვალისწინებით, ვინძლო ეს ჩემპიონატი ყველაზე უხეირო აღმოჩნდეს მის მომავალ სეზონებთან შედარებით. არადა, იგი საუკეთესოა ახალბედებში. გრანტმა და სტეფანიამ კი აშკარად მოუმატეს. ბრაიანი თავის ცხრაწლიანი კარიერის მანძილზე საუკეთესო სეზონს ატარებს, ისევე როგორც ქართველი ცენტრი — ვოვამ თითქმის ყველა სათამაშო მაჩვენებელი გააუმჯობესა, რაც პირველ რიგში მოხსნებზე ითქმის.

„ტორონტოსთან" მატჩში სტეფანიას ბევრი არ უთამაშია. პატ რაილიმ ის 16 წუთით გაიყვანა მოედანზე, მაგრამ ქართველმა მეფარემ მაინც მოახერხა საკმაოდ ბევრი, 12 მოხსნის დაგროვება. ვოვამ 6 ქულაც გააკეთა, რაც თითქმის იმდენივეა, რამდენსაც ჩვენებური საშუალოდ იხვეჭს ხოლმე თითოეულ მატჩში.

მესამე მეოთხედის ბოლო წამებზე სწორედ სტეფანიას ორქულიანმა დააწინაურა მანამდე გვარიანად ჩამორჩენილი „მაიამი". ვინს კარტერის გარეშე მოთამაშე „ტორონტომ" მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ დარჩენილ დროში ქულაც ვერ მოიხვეჭა და მაიამელებმა 24-ჯერ გაიმარჯვეს ამ სეზონში.

ამასობაში კი როგორც იქნა, დაემხო „დალასის" ერთმმართველობა. ლიგის ყოჩმა გუშინწინ „ლეიკერსთან" წააგო და ცხრილში „სან ანტონიოს" დონემდე ჩამოქვეითდა. დალასელები წარმატებით ამართლებენ იმ აზრს, რომ ძლიერებთან საბრძოლველად ილაჯი არ ჰყოფნით. „ლეიკერსი" კი „მავერიკსისთვის" ხომ საერთოდ ყველაზე უხერხული მეტოქეა. ტეხასელები ლოს ანჯელესში გამართულ ბოლო 24 შეხვედრაში დამარცხებულიყვნენ და ამჯერადაც ვერაფერი დააკლეს მასპინძლებს. საერთოდ კი, ეს გუნდები 99-ჯერ დაჭიდებიან ერთმანეთს და 80 შემთხვევაში გამარჯვებული „ლეიკერსი" გამოსულა.

არადა, დალასელებს ცუდად არ უთამაშიათ. დირკ ნოვიცკი და რიფ ლაფრენცი საწყის სამ მეოთხედში სისხლს უშრობდნენ მასპინძლებს. „ლეიკერსის" განთქმული ლიდერები, კობი ბრაიანტი და შაკილ ონილი უჩვეულოდ ინერტულნი იყვნენ, ბოლო მეოთხედამდე ვერც ერთს 10 ქულაც კი ვერ მოეგროვებინა. ყოჩთა თვლემაში ფხიზლობდა „ლეიკერსის" სათადარიგო დევინ ჯორჯი, ვინც ამ მატჩში მოქაფული 21 ქულით ყველა თანაგუნდელს აჯობა.

მაგრამ დაიწყო გადამწყვეტი თორმეტწუთეული და აბობოქრდა კობი-შაკის საძმო. ონილმა შავი დღე აყარა ნოვიცკისაც, ბრედლისაც და „დალასის" ყველა დანარჩენ მაღალსაც. თამაშის შემდეგ კი მათი მისამართით გვარიანად უხამსი სიტყვებიც დასცდა:

„მე და „ლეიკერსის" სხვა მეფარეებმა ამ მატჩში საკადრისად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ დალასელ აყლაყუდებს მაინც ვაჯობეთ. ჩვენთვის რომ მოეგოთ, ისინი უფრო ყოჩაღად უნდა გარჯილიყვნენ, ვიდრე მტირალა და მშიშარა კალათბურთელებს სჩვევიათ. „დალასის" ცენტრებმა მოედანზე სული დააყენეს."

ამ გამარჯვებით „ლეიკერსმა" დასავლეთის მეპლეიოფეთა ნუსხაში მე-6 საფეხურზე აალაჯა და თუ „სან ანტონიო" საბოლოოდ დაამხობს „დალასის" პირველობას, მადაალძრულ ჩემპიონებს პლეი ოფის პირველ წრეში სწორედ დალასელები შერჩებათ ჩასახრამუნებლად.

**ირაკლი პერტაია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 48 | 29 | 62,3 |
| დეტროიტი | 47 | 30 | 61,0 |
| ფილადელფია | 46 | 31 | 59,7 |
| ინდიანა | 46 | 32 | 59,0 |
| ნიუ ორლეანი | 42 | 35 | 54,5 |
| ბოსტონი | 41 | 36 | 53,2 |
| ორლანდო | 39 | 38 | 50,6 |
| მილუოკი | 38 | 40 | 48,7 |
| ვაშინგტონი | 36 | 41 | 46,8 |
| ნიუ იორკი | 35 | 43 | 44,9 |
| ატლანტა | 31 | 46 | 40,3 |
| ჩიკაგო | 28 | 50 | 35,9 |
| ტორონტო | 24 | 53 | 31,2 |
| მაიამი | 24 | 55 | 30,4 |
| კლივლენდი | 15 | 62 | 19,5 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 57 | 20 | 74,0 |
| საკრამენტო | 57 | 22 | 72,2 |
| სან ანტონიო | 57 | 20 | 74,0 |
| პორტლენდი | 48 | 29 | 62,3 |
| მინესოტა | 48 | 30 | 61,5 |
| ლეიკერსი | 47 | 31 | 60,3 |
| იუტა | 45 | 33 | 57,7 |
| ფინიქსი | 41 | 36 | 53,2 |
| ჰიუსტონი | 40 | 38 | 51,3 |
| სიეტლი | 38 | 39 | 49,4 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 40 | 48,7 |
| მემფისი | 27 | 51 | 34,6 |
| კლიპერსი | 24 | 53 | 31,2 |
| დენვერი | 17 | 61 | 21,8 |

*შრიფტით აღნიშნული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

---

*ადრე თუ გვიან გადადგებოდა, აბა, რას იზამდა? „ჩიკაგო ბულზის" გენერალური მენეჯერი, იგივე არქიტექტორი ჯერი კრაუზე წლების განმავლობაში აშენებდა ეპოქის უძლიერეს გუნდს, აგურს აგურზე დებდა, შემდეგ კი ნაყოფს ნაყოფზე წყვეტდა...*

# ჯერი კრაუზე: კუზი თუ კარუზო?

## წავიდა კაცი, რომელმაც შვა და მოკლა ჩემპიონი



**ჯერი კრაუზეს** არ მიუყვანია „ჩიკაგოში" მაიკლ ჯორდანი, ის მას იქ დახვდა, მაგრამ 90-იან წლებში 6-ჯერ გაჩემპიონებულ გუნდში ყველა სხვა აგური ამ გოდორა კაცის დადებულია. მან დანიშნა მთავარ მწვრთნელად დუგ კოლინზი და მანვე შეცვალა ის მისი ასისტენტ ფილ ჯექსონით. კრაუზემ დასტყუა 1987 წლის დრაფტიში „სიეტლს" მაშინ კნაჭა, ორიოდ წელიწადში კი სუპერვარსკვლავად ქცეული სკოტი პიპენი. რაღა თქმა უნდა, მანვე შემატა ჯორდანის ამქარს ჯერ ჰორას გრანტი და ბი ჯეი არმსტრონგი, მოგვიანებით კი ტონი კუკოჩი, დენის როდმანი, ლუკ ლონგლი, რონ ჰარპერი...

ყველაფერი გამოსდიოდა, რაც კი მოედანგარეთ გუნდს სჭირდება. 80 მატჩში საშუალოდ 35 ქულის გამკეთებელ ჯორდანს წელიწადში მილიონნახევრად ათამაშებდა, ხოლო მერე და მერე, როცა ნბა-ში 10 მილიონი მეორე თანრიგის ვარსკვლავების გასამრჯელოდ იქცა, ჯორდანს სარეკორდო ხელფასი, 33 მილიონი დაუნიშნა, ხოლო სკოტი პიპენს, რომელიც ერთს თუ არა, 2/3 ჯორდანს მაინც უდრიდა, წელიწადში სამი მილიონი არ ალირსა. დიდი ოღრაში კაცი იყო და ყველაფერი იდეალურად აწყო. „ჩიკაგო" საჩემპიონო ოქროს მჭედავ ზარაფხანად იქცა, რვა სეზონს ექვსი ტიტული გამოადნო.

ჯერი კრაუზეს კარიერა „ჩიკაგო ბულზის" ისტორიის ბოლო 18 წელია. მას შემდეგ, რაც „ბულზის" მილიარდერმა პატრონმა ჯერი რეინსდორფმა 1985 წელს ეს მრგვალი კაცი კლუბის საქმეთა გამრიგედ დაიქირავა, „ჩიკაგოს" ორი ჯერის კლუბი დაერქვა, რეალობაში კი „ბულზი" ერთი ჯერისა იყო. არავინ უკარგავს მონაპოვარს, მან გააკაშკაშა „ჩიკაგოს" ბაცი ისტორია, მაგრამ მის გამხსნებელ „ჩიკაგოს" გულშემატკივრებს და სხვებსაც არც ის დაავიწყდებათ, რომ ამ კაცმა ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი ერთი ხელის მოსმით დაანგრია და მისი უსიამოვნო გარეგნობის და უჟმური ხასიათის გამო კიდევ უფრო მეტად შეიძულებენ.

1998 წელს ბოლო ჩემპიონობის შემდეგ კრაუზე შესაძლოა იმ ბრძენი კაცის პრინციპით მოქმედებდა, ვისაც უთქვამს — წაბორძიკებულს ხელი ჰკარი, წაქცეულს წიხლი ჩასცხე, რათა მან უფრო მეტად მოიწადინოს ადგომაო. კრაუზემ მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ თვალის დახამხამებაში დაანგრია ჩემპიონი გუნდი. იმას თუ გეგმავდა, ნანგრევებზე უკეთეს სასახლეს ავაშენებ, ვიდრე მორყეულზეო და შეუდგა საქმეს, გაუშვა ყველა მუშა და ახლები მოიყვანა. ხუთი წელი გავიდა, სასახლე კი არ ჩანს. უძლეველი „ჩიკაგო ბულზი", ზარდამცემი „ჩიკაგო ბულზი" დღემდე იწიხლება. ხუთ წელიწადში „ხარები" ახლოსაც ვერ მიუდგნენ პლეი ოფის მისადგომებს. ხალხი „ჩიკაგოს" დასცინის, ჩიკაგოელები კი კრაუზეს აგინებენ. ჰოდა, წავიდოდა, აბა, რას იზამდა? ამ ორშაბათს ჯერი კრაუზე თანამდებობიდან გადადგა.

კრაუზეს არ ულიარებია ბოლო წლის შეცდომები, არც წამგებიანი გაცვლების და ვარსკვლავთა დაკარგვის პასუხისმგებლობა აუღია თავზე. 64 წლის კაცმა ჯანმრთელობის გაუარესება მოიმიზეზა და თავი აარიდა იმ ადგილებს, სადაც მისდამი ზიზღს უკვე დაუფარავად გამოხატავენ. მან აღარ დაუცადა სეზონის ჩამთავრებას, თავისი გზა ნახა და ამით ყველა კმაყოფილია.

კრაუზეს წასვლასთან ერთად გაჩნდა ბუნებრივი კითხვა — ვინ დაიკავებს მის ადგილს? მთელი ჩიკაგო ბედნიერი იქნებოდა, თუ კლუბის გენერალური მენეჯერის სკამზე მაიკლ ჯორდანს იხილავდა, მაგრამ მაიკლმა იმთავითვე შორს დაიჭირა. ის ამ სეზონის შემდეგ მესამედ და მგონი, მართლა საბოლოოდ გამოეცლება მოედნებს, მაგრამ შორს წასვლას არ აპირებს, თავის გუნდ „ვაშინგტონში" დარჩება ფუნქციონერად. მით უმეტეს, რომ ჯორდანი ორი-სამი წლის წინ ვაშინგტონის „პრეზიდენტი" გახლდათ და ამ კლუბის შიდა მეურნეობას საკუთარი ხუთი თითივით იცნობს.

სხვა კანდიდატები, რეალური კანდიდატები ჯერჯერობით არ ჩანან, მაგრამ მაინც არ გაჭირდება კრაუზეს გაფუჭებული საქმის გამოსწორების მსურველის პოვნა. „ჩიკაგო ბულზი" შეძლებული კლუბია და მის მესაჭეობაზე ბევრი ოცნებობს.

**ირაკლი ფირყზვილი**

*საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანმა და მორკინალმა ლევან ცაბაძემ საზარდულის ტრავმა უდანოდ ვერ მოირჩინა და ორ კვირაში ქირურგებს ჩაბარდება. „ლეონსიომ" რუმინელებთან წაგებული მატჩი სწორედ საზარდულის ტკივილის გამო გამოტოვა, მაგრამ გასულ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატის ფლეი-დაუნში თავის „მონფერანს" მთელი 80 წუთი შეალია ძალები. ის მატჩი „მონფერანმა" „მონ დე მარსანს" 33:24 მოუგო და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ამასობაში გავრცელდა ხმები, ლევან ცაბაძემ ტრავმა მოიგონა და საქართველოს ნაკრებში თამაშს თავი აარიდაო*

# რატომ ჩამახავთ?!

## ლევან ცაბაძე ის კაცია, ტკივილი მოიგონოს?!



[illegible] ფოტო

ლევან ცაბაძეს მართლა სტკივა

— ეს ყველაფერი ჭორი და მონაჩმახია. არ ვიცი, ვის რაში დასჭირდა ასეთი ხმების გავრცელება. მე ლევან ცაბაძე ვარ და საქართველოს ნაკრებისთვის თავს არ დავზოგავ — გვითხრა გუშინ ცაბაძემ, როცა საფრანგეთში დავუკავშირდით.

**— ლევან, რუმინელებთან ჯახი საზარდულის ტრავმის გამო გამოტოვე, მაგრამ ერთ კვირაში საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩი სრულად ითამაშე...**

— გასაგებია, რასაც გულისხმობთ. რუმინელების წინააღმდეგ თამაში რომ არ მდომებოდა, თბილისში არც ჩამოვიდოდი. რა, მიამოვნებს უაზროდ აქეთ-იქით ხეტიალი? ვარჯიშისას მუხლი ამტკივდა და ექიმს გავესინჯე. მუხლში წყალი მქონდა ჩამდგარი, რაც საზარდულის ანთებამ გამოიწვია. კლოდ სორელის რჩევით, არ ვითამაშე. მონფერანში რომ ჩამოვედი, აქაურ ექიმებს მივაკითხე და მათაც იგივე მითხრეს. საბოლოოდ დადგინდა, რომ საზარდულის ანთება მაქვს და საოპერაციო ვარ.

**— თუ საოპერაციო ხარ, „მონ დე მარსანთან" სრულად როგორ ითამაშე?**

— ეს „მონფერანის" უფროსობის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. მათ მითხრეს, რომ თუ სიარული შეგიძლია, აუცილებლად უნდა ითამაშო. ექიმებსაც დავეკითხე და მათაც დამრთეს თამაშის ნება, ამაზე უარესი არაფერი დაგემართება, მაინც საოპერაციო ხარ და ითამაშეო. „მონფერანს" ახლა ძალიან უჭირს, თუმცა „მონ დე მარსანს" მოვუგეთ და ფაქტობრივად თავი ელიტარულ ლიგაში დავიგულეთ. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გავვარდეთ. ალბათ ამიტომ მოითხოვეს კლუბის შეფებმა, რომ მეთამაშა. მეც ვითამაშე და კლუბთან ვალმოხდილი ვარ.

**— მაგრამ ნაკრებს მაინც ვერ დაეხმარე...**

— ეს არ არის ჩემი ბრალი. მართლა მტკიოდა მუხლი. ექიმების დიაგნოზი კლოდ სორელს ვაჩვენე და მან მირჩია, არ მეთამაშა. არასდროს ყოფილა შემთხვევა, ცაბაძეს თავი აერიდებინა ნაკრებისთვის, პირიქით, ზოგჯერ ნახევრადჯანმრთელს მითამაშია და მთელი ჯიგარი ჩამიდვია. რუმინელებთან რამდენჯერმე სკამიდანაც წამოვხტი, ისე მინდოდა თამაში.

**— ოპერაციას როდის იკეთებ?**

— ორ კვირაში, მონფერანის საუკეთესო ქირურგები გამიკეთებენ ოპერაციას.

**— სარეაბილიტაციო კურსს რამდენი ხანი დასჭირდება?**

— ალბათ თვე, ან თვენახევარი.

**— გავიგეთ, „მონფერანის" ხელმძღვანელობაში ცვლილებებია და მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი გეყოლებათ...**

— დიახ, მართალია. სეზონის ბოლოს მთელი მწვრთნელთა შტაბი შეიცვლება. ახალ ჩემპიონატში მწვრთნელი ალენ იარდე იქნება. საკმაოდ ცნობილი სპეციალისტია, აქამდე „ტულონს" და „ბეზიეს" ავარჯიშებდა.

**— წარუმატებელი სეზონის შემდეგ ალბათ მორაგბეებსაც მოგთხოვდნენ პასუხს.**

— რამდენიმე მორაგბე მართლა დატოვებს კლუბს, ოღონდ მათი ვინაობა სეზონის ბოლოს გახდება ცნობილი. ერთი კი ნაღდია, მე და დათო აშვეთიას არავინ გვემდურის, სამომავლოდ ჩვენი დიდი იმედი აქვთ.

**ბაჩო სვანიძე**



# ლინდსი აზრზე არ მოსულა

**THE FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**პირველი წრე**

**მეგენ შონესი (11, აშშ) — მილაგროს სეკერა (ვენესუელა) 6:2, 6:4; ანა პისტოლეზი (12, ისრაელი) — ელს კალენსი (ბელგია) 6:3, 6:1; ელენა დემენტიევა (13, რუსეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:2, 6:2; ნატალი დეში (14, საფრანგეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:2, 7:5; კლარისა ფერნანდესი (16, არგენტინა) — მარისა ირვინი (აშშ) 4:6, 6:3, 6:3; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (17, აშშ) 6:4, 6:3; ივა მაიოლი (ხორვატია) — ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) 6:2, 7:5; მარი პირსი (საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:3; პაოლა სუარესი (არგენტინა) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:1, 6:2**

**მეორე წრე**

**ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:0; ვერა ზვონარევა (რუსეთი) — პატი შნიდერი (8, შვეიცარია) 6:2, 4:6, 6:4**

სამხრეთკაროლინურ ჩარლსტონკორტებზე შეფენილი მილეთი იმ დღეს მოუთმენლად ელოდა ქალთა ამქრის დედამთავრის, სერენა უილიამსის გამოჩენას. უმცროს შავდას მადაგასკარელ დალი რანდრიანტეფისთან უნდა ებუქნავა, მაგრამ კორტზე გაბაყვაბაყვება ანაზდად მოსულმა ნალექმა არ აცალა.

დასტურ სახელიან ქალთაგან ქომაგებმა წვიმამდე მხოლოდ ლინდსი დევენპორტი იხილეს. ბუთქუნა ამერიკელი თიხნარს — ცოდვა გაუმხელელი სჯობს — საერთოდ იშვიათად ეკარება, მაგრამ იმ დღეს მაინც კაცურად გაირჯა და ჩეხ ბედანოვას უეჭველად გადაუარა.

„ბოლოჯერ თიხაზე 2000 წელს ვითამაშე — იგონებდა ნამატჩევს ლინდსი — მაშინაც, მგონი ერთი თამაში. სრული სათიხნარე სეზონი კი სულაც 1999 წლის მერე აღარ მქონია. ასე რომ, აზრზე არა ვარ, აქ რა და როგორ იქნება."

შეგახსენებთ, რომ წლეულს ნათამაშები 24 მატჩიდან დევენპორტმა 19 მოიგო, ტოკიოური ტიტული მიითვალა და ორჯერაც — სიდნეისა და ინდიან უელსში მხოლოდ ფინალში დამარცხდა.

სხვაფრივ — რუსმა ვერა ზვონარევამ უმალვე აოტა შარშანდელი ფინალისტი პატი შნიდერი, ხოლო შარშანდელმა მოულოდნელმა ჩემპიონმა, ხორვატმა ივა მაიოლიმ უსახელო ამერიკელ ლინდსი ლი-უოტერსს აჯობა.



ლინდსი დავენპორტი

**ESTORIL OPEN**
**ეშტორილი. თიხნარი**
**კაცები**
**საპრიზო 525 ათასი $**

**ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — რაინერ შიუტლერი (2, გერმანია) 6:1, 4:6, 7:5; ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:4; მაქს მირნი (7, ბელარუსი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0, 4:6, 7:5; იარკო ნიემინენი (8, ფინეთი) — ელდერ ლოპესი (პორტუგალია) 4:6, 6:1, 6:1**

დღის მოვლენად ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი შიუტლერის ძლევა იქცა. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს ეშტორილურ თიხნარს იქ მეპირველე ირჟი ნოვაკიც გამოაკლეს.

**ქალები**
**140 ათასი $**

**მაგი სერნა (2, ესპანეთი) — ელენა ტარტაკოვა (უკრაინა) 6:3, 6:1; ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) — რიტა გრანდე (4, იტალია) 6:3 გრანდემ შეწყვიტა; ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) — კონჩიტა გრანადოსი (ესპანეთი) 6:2, 6:3; მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) — პატრისია ვარტუში (7, ავსტრია) 5:7, 6:3, 6:4**

**GRAND PRIX HASSAN 66**
**კასაბლანკა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**პირველი წრე**

**იუნეს ელ აინაუი (1, მაროკო) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:2; ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მატიო (2, საფრანგეთი) 6:2, 6:4; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — არნო კლემანი (3, საფრანგეთი) 6:4, 5:7, 6:2; დომინიკ ჰრბატი (4, სლოვაკეთი) — მუნირ ელ აარეჯი (მაროკო) 6:3, 7:6 (7:5); ფედერიკო ბროუნი (არგენტინა) — ოლივიე როხუსი (5, ბელგია) 7:6 (7:4), 6:3; ჰიშამ არაზი (მაროკო) — მეჰდი ტაჰირი (მაროკო) 6:1, 7:6 (14:12)**

იმ დღეს ბევრი განთესილი გაილალა, მაგრამ ჰასან მეორის ქვეშევრდომთ მაინც არ მოუწყენიათ — მათმა ჯილებმა, შარშანდელმა ჩემპიონმა იუნეს ელ აინაუიმა და 1997 წლის გამარჯვებულმა ჰიშამ არაზიმ რიგიანად იჩოგნავეს და მეორე წრეში გავიდნენ.

**ლევან ძელაურაძე**

# მეორმან კლაისტერსი

**კიმ კლაისტერსი** მომავალი ორშაბათიდან ქალთა კლასიფიკაციის მეორე ადგილზე აინაცვლებს და შავდა უილიამსებს შორის ეკალივით გაეჩხირება.

ეგ ამბავი მას შემდეგ გაირკვა, რაც რომ ვინუს უილიამსმა მომავალ კვირაში ამელია აილენდში გასამართ ტურნირზე ჩაუსვლელობა გადაწყვიტა და იქ შარშან გაჩემპიონებით მონაგრული 284 ქულა თავადვე მოიკლო.

რაკილა საამკვირაო აღრიცხვით ვინუსს 4839 ქულა აქვს, საიმკვირაოდ 4555-ღა დაურჩება, ეს კი 30 ქულით ნაკლები იქნება კიმის 4585-ქულიან მაჩვენებელზე.

ამგვარად — 2002 წლის 10 ივნისიდან პირველად მოხდება, რომ ქალთა კლასიფიკაციის სათავეში შავდა უილიამსები ჯუფთად აღარ იდგებიან.

კიმი შეიქნება მე-18 გამეორადგილოსნებული და მე-6 ყველაზე ჭაბუკი მეორეადგილოსანი ქალი უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში.

შეგახსენებთ, რომ ის ახლა 19 წლისა და 10 თვისაა, ხოლო მასზე უმცროსებს ქალთა კლასიფიკაციის მეორე საფეხურამდე ალზევება აქამდე ენდრია ჯეგერს (1981 წლის 17 აგვისტოს — 16 წლისა და 2 თვისას), მარტინა ჰინგისს (1997 წლის 27 იანვარს — 16 წლისა და 4 თვისას), მონიკა სელეშს (1990 წლის 19 ნოემბერს — 16 წლისა და 11 თვისას), ტრეისი ოსტინს (1980 წლის 13 იანვარს — 17 წლისა და 1 თვისას) და შტეფი გრაფს (1987 წლის 2 მარტს — 17 წლისა და 9 თვისას) მოეხერხებინათ.

საინტერესოა, რომ ჰინგისმა, სელეშმა, ოსტინმა და გრაფმა მეორე ადგილზე მოხვედრიდან ხუთ თვეში ან კიდევ უფრო მალე კენწეროსაც აღწიეს.

შეძლებს ლეიტონის დრანცულა ქალი იმავის გამეორებას?

ეს მრავალწილად სერენა უილიამსზეც ჰკიდია. უფრო სწორედ — ეს ყველაფერი სერენას სულ ერთ ჩოგანზე ჰკიდია. ჩოგანზე, რომლითაც რიჩარდის უმცროსი ასული წლეულს ყველა მეტოქის გატყეპვას გეგმავს.

**ლევან ძელაურაძე**



კიმ კლაისტერსი დებ უილიამსებს შორის ეკალივით ჩაეჩხირა

*გასულ კვირას სან პაულუში, ბრაზილიის მორიგი დიდი პრიზის გათამაშება „სამეფო რბოლების“ 54-წლიან ისტორიაში საიუბილეო, მე-700 ეტაპი იყო. იმ რბოლაში ორი მცირე იუბილეც აღინიშნა: ირლანდიელ ედი ჯორდანის გუნდის ყვითელმა ბოლიდებმა მეორასედ გაიჯირითეს, ხოლო 28 წლის იტალიელი იარნო ტრული („რენო“) მეასედ გავიდა სტარტზე და ამ საპატიო მაჩვენებლით 52-ე პილოტი შეიქნა.*

# 1,2... 700

## ფორმულა 1-ის ცოცხალ-მკვდარი რიცხვებში




**სამეფო რბოლების პირველი და მეშვიდასე გამარჯვებულები ჯუზეპე ფარინა და კიმი რაიკონენი**

შვიდას ეტაპზე ზუსტად ექვსასმა მძღოლმა ირბოლა. მსურველი, ცხადია, გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ბევრმა შესარჩევი ბარიერი ვერ დაძლია. მათ შორისაა იტალიელი ქალიშვილი ჯოვანა ამატი, რომელმაც „ბრებემით“ 1992 წელს სამჯერ კი სცადა, მაგრამ ერთხელაც ვერ გადალახა საკვალიფიკაციო ზღუდე. უკეთ იასპარეზა ამატის თანამემამულე ლელა ლომბარდიმ — ერთადერთმა მეფორმულე ქალმა, ვინც ერთხელ რბოლა ჩასათვლელ, ქულებიან ექვსეულში ჩაამთავრა. ლელას სამძღოლო კარიერა 1975 წელს 12 გაჯირითებით შემოიფარგლა. იგი 1992 წლის მარტში კიბოსგან 48 წლისა აღესრულა.

ერთი შეხედვით თითქოს უცნაურია, რომ 700 ეტაპს 703 გამარჯვებული ჰყავს. ზედმეტი სამეული იმის ბრალია, რომ ფორმულის გარიჟრაჟზე, გასული საუკუნის 50-იან წლებში, უხარისხო ტრასებზე სიქაგამცლელი წვალებისას პილოტები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და, ბუნებრივია, მოგებაც ორივეს ეთვლებოდა. ასეთი გაყოფილი პირველობა მიითვალეს 1951 წელს საფრანგეთში არგენტინელმა ხუან მანუელ ფანხიომ და იტლიელმა ლუიჯი ფაჯიოლიმ („ალფა რომეო“), 1956-ში არგენტინაში — ფანხიომ და იტალიელმა ლუიჯი მუსომ („ლანჩა-ფერარი“), ერთი წლის შემდეგ კი ინგლისში — მასპინძლებმა სტირლინგ მოსმა და ტონი ბრუქსმა („ვენუოლი“).

ფორმულა 1-ის ზეისტორიული, პირველი რბოლა 1950 წლის 13 მაისს შედგა ინგლისში, სილვერსტოუნის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე. ასპარეზობაში 21 ბოლიდი ჩაება, რომელთაგან ფინიშთან პირველი 44 წლის იტალიელ ჯუზეპე „ნინო“ ფარინას „ალფა რომეო“ მიიჭრა.

მეშვიდასეში 20 პილოტი მონაწილეობდა. რბოლა ტროპიკული წვიმისგან დამბალ ასფალტზე ვადამდე შეწყდა 26 წლის ავსტრალიელ მარკ ვებერისა („იაგუარი“) და 21 წლის ესპანელ ფერნანდო ალონსოს („რენო“) უმძიმესი ავარიების გამო. საბედნიეროდ, პილოტები უვნებლად გადარჩნენ, გამარჯვება კი მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა იზეიმა. 23 წლის ფინელი ეტაპების მომგებთა სიაში 92-ე გახდა, ხოლო მესამე თავის ჩემპიონ თანამემამულეების კეკე როსბერგისა და მიკა ჰაკინენის შემდეგ. რეკორდი კი, იქნებ სამუდამოც, უკვე 64 დიდი პრიზის მფლობელ ხუთგზის ჩემპიონ დიად გერმანელ მიხაელ შუმახერს ეკუთვნის. ასევე ალბათ, დაუმხობელი დარჩება იტალიელ რიკარდო პატრეზეს 256-ჯერ გაჯირითების მიღწევაც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთადერთი კონკურენტი, სადღეისოდ 30 წლის ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო (167) ნაადრევად გავა პენსიაზე.

სამწუხაროდ, საფორმულო ტრასებზე მსხვერპლიც ხშირი იყო, განსაკუთრებით 50-60-იან წლებში, როცა თითქმის ყოველ სეზონში იღუპებოდნენ მრბოლები. ფეთიანმა სრბოლამ 44 პილოტი შეიწირა, მათ შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი აირტონ სენა (1994), ორგზის ტრიუმფატორები — იტალიელი ალბერტო ასკარი (1955) და შოტლანდიელი ჯიმ კლარკი (1968), აგრეთვე ავსტრიელი იოხენ რინდტი (1970), რომელსაც ჩემპიონის ტიტული დაღუპვის შემდეგ მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ პირველი სეზონიდან მოყოლებული, მხოლოდ, ბრიტანული და იტალიური ეტაპებია, რომლებიც ერთხელაც არ გამცდარა. სულ კი ამ ხნის მანძილზე 29 დასახელების დიდი პრიზი გათამაშდა:

| | |
|---|---|
| ბრიტანეთი | 53 |
| იტალია | 53 |
| საფრანგეთი | 52 |
| გერმანია | 50 |
| მონაკო | 49 |
| ბელგია | 49 |
| აშშ | 46 |
| კანადა | 34 |
| ესპანეთი | 32 |
| ბრაზილია | 31 |
| ჰოლანდია | 30 |
| ავსტრია | 25 |
| სამხრეთ აფრიკა | 23 |
| სან მარინო | 22 |
| არგენტინა | 20 |
| ავსტრალია | 19 |
| იაპონია | 18 |
| უნგრეთი | 17 |
| პორტუგალია | 16 |
| მექსიკა | 15 |
| ევროპა | 12 |
| ინდიანაპოლის-500 | 11 |
| შვედეთი | 6 |
| შვეიცარია | 6 |
| მალაიზია | 5 |
| ლუქსემბურგი | 2 |
| წყნარი ოკეანე | 2 |
| მაროკო | 1 |
| პესკარა | 1 |

## სამეფო რბოლების «მრგვალი» ეტაპები

| რბოლა | წელი | ქვეყანა | გამარჯვებული |
|---|---|---|---|
| 1 | 1950 | ინგლისი | ჯუზეპე ფარინა (იტალია, ალფა რომეო) |
| 100 | 1961 | გერმანია | სტირლინგ მოსი (ინგლისი, ლოტუს-კლიმა) |
| 200 | 1971 | მონაკო | ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია, ტირელ-კოსუორტი) |
| 300 | 1978 | სამხრეთ აფრიკა | რონი პეტერსონი (შვედეთი, ლოტუს-კოსუორტი) |
| 400 | 1984 | ავსტრია | ნიკი ლაუდა (ავსტრია, მაკლარენ-პორშე) |
| 500 | 1990 | ავსტრალია | ნელსონ პიკე (ბრაზილია, ბენეტონ-კოსუორტი) |
| 600 | 1997 | არგენტინა | ჟაკ ვილნევი (კანადა, უილიამს-რენო) |
| 700 | 2003 | ბრაზილია | კიმი რაიკონენი (ფინეთი, მაკლარენ-მერსედესი) |



**NHL სტენლის თასი. პირველი წრე**

**დასავლეთის კონფერენცია**

# დღეიდან: PLAY OOOH!

### დალასი (1) VS ედმონტონი (8)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +3=0-1

**მიღწევები:** თასის ერთგზის მფლობელი

**ლიდერები:** მაიკ მოდანო (18+56), ბილ მერინი (25+25), იგრე ლეპტინენი (31+17), ჯეისონ არნოტი (23+23)

**მიღწევები:** თასის 5-გზის მფლობელი

**ლიდერები:** რაიან სმიტი (27+34), ტოდ მარჩანტი (20+40), მაიკ კომრი (20+31), მაიკ იორკი (22+29)

ედმონტონის არავის შურს. ბოლო 7 წელიწადში ეს ამ გუნდების მე-6 შეხვედრაა და ერთი შემთხვევის გარდა მუდამ დალასი იმარჯვებდა. კანადური გუნდი ლიგაში ყველაზე სწრაფ და შინაარსიან ჰოკეის კი თამაშობს, მაგრამ ტეხასელთა კლანჭებიდან თავის დაღწევა მაინც უჭირს. რაკი მეტოქეებს სტილი თითქმის არ შეუცვლიათ, სერიის ბედი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. დალასს თუ რაიმე ხელს შეუშლის, ეს მეკარეთა თამაში იქნება. მარტი ტურკომ საუცხოო სეზონი ჩაატარა, მაგრამ საპლეიოფო გამოცდილება სულ არა აქვს. თანაც როცა ტურკომ ტრავმა მიიღო, დალასს საკმაოდ გაუჭირდა.

CBS SPORTSLINE-*ის პროგნოზი: დალასი 5 თამაშში მოიგებს*

### დეტროიტი (2) VS ანაჰაიმი (7)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +3=0-1

**მიღწევები:** თასის 10-გზის მფლობელი

**ლიდერები:** სერგეი ფიოდოროვი (36+47), ბრეტ ჰალი (37+39), ბრენდან შენაჰანი (30+38), ნიკლას ლიდსტრიომი (18+44)

**მიღწევები:** პლეი ოფში პირველად გავიდა

**ლიდერები:** პოლ კარია (25+56), სტივ რუჩინი (20+38), პეტ სიკორა (34+25)

ამ მეტოქეთა ურთიერთობა კატათაგვობანას გვაგონებს. პლეი ოფში სულ ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორჯერვე ანაჰაიმი გაილახა. მას შემდეგ გარკვეული ცვლილებები ორივე გუნდში მოხდა. სკოტ ბოუმენის წასვლის შემდეგ დეტროიტი ძველებურად ჰაეროვანი და მსუბუქი როდია, კერტის ჯოზეფი კი წინამორბედ ჰაშეკივით გაუვალი კედელი ვერაა. ანაჰაიმი კი აშკარად მომძლავრდა. გუნდს რამდენიმე სახელოვანი ვეტერანის მოწვევა ძალიან მოუხდა. მისი თავკაცი მაიკ ბებკოკი პირველი წელია, ლიგაში მუშაობს და უკვე გაითქვა სახელი. მას კარგ სპეციალისტად მიიჩნევენ და თვლიან, რომ იცის, როგორ ააშენოს კარგი გუნდი.

CBS SPORTLINE-*ის პოვნოზი:* დეტროიტი 6 თამაშში მოიგებს

### კოლორადო (3) VS მინესოტა (6)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=2-1

**მიღწევები:** თასის ორგზის მფლობელი

**ლიდერები:** პეტერ ფორსბერგი (29+77), მილან ჰეიდუკი (50+48), ალექს ტანგეი (26+40), ჯო საკიკი (25+32)

**მიღწევები:** ერთხელ გასულა თასის ფინალში

**ლიდერები:** მარიან გაბორიკი (29+34), პასკალ დიუპუი (20+27), კლიფ რონინგი (16+31)

დასავლეთის სამი მონსტრიდან კოლორადოს ყველაზე უხერხული მეტოქე შეხვდა. ეგებ მინესოტა პოტენციალით სულაც არ სჯობს თუნდაც ანაჰაიმსა და ედმონტონს, მაგრამ მასთან თამაში განსაკუთრებით რთულია. ჟაკ ლემერმა ჯერ კიდევ ნიუ ჯერსის თავკაცობისას გაითქვა სახელი, როცა ისეთი დაცვითი სისტემა გამოიგონა, რომ ბევრ ფავორიტს აუბნია თავგზა. მან მინესოტაც იმავე ყაიდაზე ააშენა. გარდა ამისა, კოლორადოს წლეულს მხოლოდ 1,5 კარგი სამეული ჰყავს. ჯო საკიკმა მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ჩვეულ ფორმას, ამიტომ ძირითად სამუშაოს პეტერ ფორსბერგი და მისი ორი პარტნიორი ასრულებენ. თუ მინესოტა რამენაირად შეძლებს ფორსბერგის გაუვნებლებას, კოლორადოს მოგება გაუჭირდება.

CBS SPORTSLINE-*ის პოვნოზი: კოლორადო 6 თამაშში მოიგებს*



**ორი დიდი კოლორადოელი — პატრიკ რუა და პეტერ ფორსბერგი**

### ვანკუვერი (4) VS სენტ ლუისი (5)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=1-1

**მიღწევები:** თასის ფინალში გასვლა

**ლიდერები:** მარკუს ნესლუნდი (48+56), ტოდ ბერტუცი (46+51), ბრენდან მორისონი (25+46)

**მიღწევები:** თასის ფინალში გასვლა

**ლიდერები:** პაველ დემიტრა (36+57), კეიტ ტკაჩუკი (31+23), კორი ტილმანი (24+43), კოტ მელანბი (26+31)

ვანკუვერს ეგებ სანანებელი გაუხდეს, ჩემპიონატის ბოლო დღეს დივიზიონში პირველობა ხელიდან რომ გაუშვა. მინესოტაზე ნათქვამი, შეგვიძლია სენტ ლუისზე გავიმეოროთ და განვავრცოთ. ამ გუნდთან თამაში ნამდვილად უძნელესია. ლიგის ერთ-ერთ ყველაზე დაბალანსებულ გუნდს სამი თითქმის თანაბარი სამეული ჰყავს. და ეს მაშინ, როცა ვანკუვერის მთავარი დამრტყმელი ძალა ოდენ ნესლუნდ-მორისონ-ბერტუცის ტრიოა. თუმც ამ სერიაში მთავარი მაინც მეკარეთა „დუელი“ იქნება. სოლიდური საპლეიოფო გამოცდილებით ვერც ვანკუვერის გოლკიპერი დან კლუტიე მოიწონებს თავს და ვერც მისი ოპონენტი კრის ოსგუდი. მართალია, ოსგუდი ერთხელ უკვე გახდა თასის მფლობელი დეტროიტთან ერთად, მაგრამ მაშინ დეტროიტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მეკარეს ბევრი არაფერი მოეთხოვებოდა. და კიდევ: სენტ ლუისის დაცვის საყრდენი კრის პრონგერი მხოლოდ ჩემპიონატის ფინიშზე გამოჯანმრთელდა და საუკეთესო ფორმაშიაო, მასზე ნამდვილად არ ითქმის.

CBS SPORTSLINE-*ის პოვნოზი: ვანკუვერი 6 თამაშში მოიგებს*



REUTERS ნიუ ორლეანიდან

# დიდი ფინალი

ნიუ ორლეანში დიდი დღეები იყო. სწორედ ამ ქალაქმა უმასპინძლა სტუდენტური კალათბურთის ფინალურ ოთხეულს. მთელ ქალაქი ამ ამერიკაში უპოპულარულესი შეჯიბრით ცხოვრობდა და მედიაც სწორედ კალათბურთზე იყო მომართული. კრეიგ კელბორნის ღამის შოუში ლამაზმანი წამყვანი ბრუკი ბარნსი მივიდა და გავის მოშვერით აღიარა, ტეხასელების რჭოსნებს ვქომაგობ, რადგანაც თავადაც ტეხასელი ვარო. ფინალი კი ამ შოუებზე ათასგზის მნიშვნელოვანი იყო. სირაკუზელებმა კანზასელებს 81:78 აჯობეს და როგორც წესია, ბედნიერ მწვრთნელ ჯიმ ბოეიმს მეუღლე ჩაეკონა.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# საპატიო ლეგიონი

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა საპატიო ლეგიონის წევრის ორდენით დააჯილდოვა 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ფრანგი გმირები. ოლიმპიადის ყველა მედალოსანმა ლეგიონერობა მიიღო, ამათ შორის კი გაფრანგებულმა რუსმა მოციგურავემ მარინა ანისინამაც.



# პარიზის მარათონი

პარიზის მარათონი, რომელშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა, დიდად თვალსასეირო სანახაობაა. განსაკუთრებით გარბენის დაწყებამდე, სისხამ დილით, როცა ელისეს მინდვრები მონაწილეთა ბარგითაა მოფენილი. ამ ხალისიან ხეიბარს კი ასევე გადაუწყვეტია მარათონში მონაწილეობა.




REUTERS პარიზიდან



REUTERS სუძუკადან

# ავარია სუძუკაზე

სუძუკას ტრასაზე იაპონიის დიდი პრიზი გათამაშდა მოტო-ჯი-პი-ში. რბოლა დიდმა იტალიელმა ვალენტინო როსიმ მოიგო. იაპონელი დაიჯირო კატოს კი ავარია მოუხდა და ხელმოტეხილი გაიქანეს ჰოსპიტალში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ხოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრიპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეჩაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge